# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 17 ნოემბერი, 2010 წელი.

№214 (6580)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




## იქნებ ერთხელ მაინც შეიყვაროთ საკუთარ თავში სამშობლო, ბატონებო!

2



მსუყე ლუკმის გადანაწილება, თუ თანამოქალაქეების ზრუნვა?

## უცხოეთიდან ზარზეიმით ჩამოყვანილი და საქართველოში უვარგისი თურქული სათადარიგო ნაწილებით შეკვარებული „ყვითელი ავტობუსების“ სევდა

4

## მიუხამ იმდენი გვაბოდა, ლაშის „დამვაკაფჩონა“,

ანუ ლატაკი ქვეყნის „მდიდარი“ ბიზნესი

5

## „მადნეულისგან“ სტიქია გვიახლოვდება, რადგან ხალხის ჯანმრთელობას მავანს ბევრი ფული ურჩევნია!



3



## გააერთიანებს კი ოპოზიციასა და ხელისუფლებას ახალი საარჩევნო კოდექსი?

8

## რათა საქართველომ მომავალში არ მიიღოს საკუთარ სახელმწიფოზე გაბოროტებული თაობები

2






გოდერძი ჩოხელის მონატრება

11




ხელოვანი, ვისაც უკან მოხედვის არ ეშინია

9




აღმოცისკრებული „ცისკარი“



თითქმის საუკუნეს მიტანებულ ქართველ გლეხკაცზე მოგვითხრობენ ზაურ და ია ფიფიები, ძირძველ კოლხზე, რომელსაც უძველესი ქართული ჯიშის ვაზის ძიებაში გადაჰყრიან

6

## გულის ბუხარი

***ალბათ ორიგინალურობაში არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ ნაღდი პოლიტიკური ბანძები არიან ე. წ. „დიდი რვიანის“ შემადგენელი პარტიები. მათ განსაკუთრებული ყროლის სუნი მას შემდეგ აუვიდათ, რაც ხელისუფლების მოთხოვნით, მარტო პოლიტიკურით კი არა, ქრისტიან-დემოკრატების მსგავსი ნაღდი ბანძებით შეივსნენ და „გაცამეტდნენ“ („პადოშა“, „ჩვენ თვითონ“, „ეროვნულ-დემოკრატები“, კოკო გამსახურდია, ჯონდი ბაღათურია).***

***განსაკუთრებული სინანულის თუ გულისდაწყვეტის გრძნობა საზოგადოებას ირაკლი ალასანიას, გუბაზ სანიკიძისა და კახა შარტავას გამო აქვს, თორემ სხვების საქმე, ვინც „საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების“ ფარსში მონაწილეობენ, მართლაც ისეა, ხალხს რომ აქვს ნათქვამი, ფერი ფერს და მადლი ღმერთსო.***

# იქნებ ერთხელ მაინც შეიყვაროთ საკუთარ თავში სამშობლო, ბატონებო!

## კიდევ ერთი შესაძლო უშედეგო შეკრებით ხალხს გულს ნუ გაუტეხთ!

ამ ეროვნულ ფორუმს ხომ, რომ იტყვიან, ცივი წყალი გადაგვასხაო, ისე გამოუვიდა – თავად გამოგვიჭედეს ყურები – თარიღების დასახელებას შევეშვათ, თუ დავასახელებთ, ერთი მიტინგით დავამთავრებთ მიშასო. ჰოდა, დაასახელეს 4 ნოემბერი და... ბაქრაძის კაბინეტში კი დურთეს თავი.

ახლა არის და, ახლოვდება სახალხო წარმომადგენლობითი კრების მიერ დასახელებული 25 ნოემბერი. ჰოდა, გუშინწინ გამობრძანდა „კავკასიის“ ეთერში ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, რომელიც მანამდე თითქოს ერთგვარად დისტანციას იჭერდა ამ კრებისგან, როგორც ორგანიზატორი და დაინტერესებული პირი, ახლა კი დაუფარავად წარმოჩინდა, როგორც მისი მთავარი სულის თუ „ფულის ჩამდგმელი“.

მე თუ მკითხავთ, ეს მხოლოდ მისასალმებელია, რადგან აქამდეც ყველამ ყველაფერი იცოდა, თუ ვის რა ინტერესი ან წვლილი ჰქონდა კრებასთან თუ კრებაში. რაც შეეხება სულის და ფულის კალამბურს, ეს სულაც არ მითქვამს ირონიით და, მით უფრო, სარკაზმით, რადგან ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: კრება იქნება, ყრილობა თუ მიტინგი, ყველაფერს ფული სჭირდება და თუ ვინმემ არ დააფინანსა სახალხო კრება, არაფერი გამოვა.

ეს „ვინმე“ კი ლელიკო ჯაფარიძე თუ ელიზბარ ჯაველიძე, ნონა გაფრინდაშვილი ან, მით უმეტეს, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი რომ ვერ იქნებიან, ბავშვმაც კი იცის. ისე კარგი იქნება, თუ ქალბატონი ბურჯანაძე ამასაც ხმამაღლა განაცხადებს.

ჯერ ერთი, ეს ამბავი ხალხისთვის ისედაც ერთმნიშვნელოვნად არის ცნობილი და მეორეც, ასეც რომ იყოს და ბრიყვი ხალხი ვერაფერს ხვდებოდეს, ამის გამო არავინ დაძრახავს ნინო ბურჯანაძეს. უფრო პირიქით მგონია – ამის ხმამაღლა გაცხადება კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება საზოგადოების თვალში ამ ქალბატონის რეაბილიტაციის გზაზე.

სიტყვამ მოიტანა და ქალბატონმა ნინომ შარშანდლიდან მოყოლებული არაერთი წარმატებული ნაბიჯი გადადგა ამ გზაზე. და ამის შედეგია ის, რომ მას საზოგადოების უმრავლესობამ მიუტევა წარსულის შეცოდებანი და, ვინმეს შეიძლება მოსწონდეს ან არა ეს ამბავი, მაგრამ სწორედ ნინო ბურჯანაძე მოიაზრება სააკაშვილის რეალურ ოპოზიციად. თორემ ისიც კარგად გვახსოვს, თუ რა გამაყრუებელი სტვენით შეხვდნენ მას შარშან 9 აპრილის საპროტესტო აქციების დასაწყისში.

ეს „მოაზრება“ კი განსაკუთრე-



ბულად კონტრასტული სწორედ ზემოთ ნახსენები საარჩევნო გარემოს იწილო-ბიწილოს ფარსის ფონზე გახდა.

მაგრამ ნინო ბურჯანაძეს მიმართ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის კეთილგანწყობა მხოლოდ ავანსია, რისი საფუძვლიანობა თუ უსაფუძვლობა 25 ნოემბერს გამოჩნდება. სახალხო კრებამ ამ დღეს კონკრეტული შედეგი უნდა დადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იმავე ხალხის რისხვა, რომელიც იმედის თვალით შეჰყურებს სახალხო კრებას და ნინო ბურჯანაძეს, საბოლოო და შეუქცევადი იქნება.

რაც ყველაზე მთავარია, თუ კრება კვლავ „მხიარული დარჩება“, თუ კვლავ იმითი მოიწონებენ თავს, ხალხის სიმრავლის მიუხედავად ხიდან ერთი ფოთოლიც არ ჩამოვარდაო, ასეთ შემთხვევაში ქართველ ხალხს სამუდამოდ თუ არა, ძალიან დიდი ხნით დაეკარგება ყოველგვარი პროტესტის სურვილი.

„კონკრეტულ შედეგებში“ მაინცდამაინც რუსთაველის პროსპექტის ლეწვა-ნგრევას არ ვგულისხმობ, მაგრამ, როგორც მინიმუმი, ხალხმა ის მაინც უნდა დაინახოს, რომ რეალურად დაიწყება რაღაც თვისებრივად ახალი პროცესი.

ჯერჯერობით ის არის ცნობილი, რომ ხელისუფლებამ ყველგან, მასობრივად წამოიწყო „კაპრემონტები“ და სახალხო კრების მესვეურთ სპორტის სასახლისა თუ ლოკომოტივის (მიშა მესხის სტადიონის მიქირავებაზე უარი უთხრა, რითიც თავად უბიძგებს ხალხს, რომ სახალხო კრებას მიტინგის ფორმა მიეცეს.

ჰოდა, მოვუწოდებ იგივე ირაკლი ალასანიას, კახა შარტავას და გუბაზ სანიკიძეს, რომლებიც, არც მე და, დარწმუნებული ვარ, არც საზოგადოების უმრავლესობას ბოლომდე ჯერ კიდევ არ გაუწირავს და არ ემეტება „საარჩევნო გარემოებანას“ თამაშის ერთ ქვაბში მოსახარშად, ასევე მივმართავ შალვა ნათელაშვილს – თუ რაღაც მიზნების გამო არ ცნობენ სახალხო კრების იდეას, 25 ნოემბერს იქ მიუსვლელობით მაინც ნუ გაემიჯნებიან მას და თუნდაც პასიური დამკვირვებლის სახით მაინც მივიდნენ.

მათი იქ შესაძლო მიუსვლელობის მთავარი მიზეზი კი მაინც ის არის – ნინო ბურჯანაძის გასაპრეზიდენტებლად ხომ არ მივალთო. გაიგეთ, ხალხო, დღეს საკითხის ასე დაყენება, როგორც მინიმუმ, ნაადრევი და არამართებულია.

ნინო ბურჯანაძე იქნება, შალვა ნათელაშვილი, კახა შარტავა, გუბაზ სანიკიძე თუ ირაკლი ალასანია, ყველას ერთად და ცალცალკე მივმართავ მერაბ კოსტავას ნათქვამის პერიფრაზით – საკუთარ თავში უნდა გიყვარდეთ სამშობლო და არა სამშობლოში საკუთარი თავი! ერთხელ მაინც შესძლით ეს, ბატონებო!

თორემ პრეზიდენტობაც ოხრად დაგრჩებათ და პრემიერობაც!

ვიმეორებ, რომ ახლა ასეთი ფიქრები ჯერ კიდევ ცოცხალი დათვის ტყავის გაყოფის მცდელობას ჰგავს.

**ჰოდა, თუ არ გინდათ, რომ საბოლოოდ და ისე „გაბანძდეთ“, რომ არათუ პოლიტიკაში, საქართველოშიც აღარ დაგედგომებოდეთ და, კიდევ უარესი, იმ ცოცხალმა დათვმა შეგჭამოთ, რომლის ტყავი ვერ გაგიყვიათ, ერთხელ მაინც შეიყვარეთ საკუთარ თავში სამშობლო!**

**შესაძლოა, ეს პერიფრაზირება შეურაცხყოფად მიიღოთ (ღმერთი, რჯული ეს არც მიფიქრია და არც მინდა! ), მაგრამ, ვფიქრობ, სათქმელს მიმიხვდებით, ბატონებო!**

**დავით მხეიძე**

## ინფორმაცია

# ჰილარის ასე იოლად ვერ გადაათქმევინებ

აშშ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს, – შესაბამისი განცხადება აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ვაშინგტონში, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

მისი თქმით, აშშ-რუსეთის ურთიერთობებში გარკვეული წინსვლა შეინიშნება, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამის გამო შეერთებული შტატები სადავო საკითხებზე რუსეთთან კომპრომისზე წასვლას გეგმავს. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი აღნიშნა, რომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას არ უნდა შეეწიროს ისეთი ღირებულებები, როგორიც არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი და ადამიანის უფლებები.

– ჩვენ ვიცავთ საკუთარ პრინციპებს და ვაგრძელებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას, – განაცხადა ჰილარი კლინტონმა.

ჯი-ეიჩ-ენი

## განცხადება

# რათა საქართველომ მომავალში არ მიიღოს საკუთარ სახელმწიფოზე გაბოროტებული თაობები

ნებისმიერი ნორმალურად მოაზროვნე მოქალაქისთვის ცხადია, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა პროტესტს, რომელიც სააკაშვილის მიერ „ოროსნების რევოლუციად“ იქნა მონათლული, თავისი წინაპირობა და სერიოზული მიზეზები აქვს. სრულიად აშკარაა, რომ ეს პროტესტი ხელისუფლების მიერ განათლების სისტემის რეფორმად წოდებული გაუაზრებელი, ქაოსური, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთგამომრიცხავი ქმედებების ლოგიკური შედეგია.

ჯერ კიდევ ალექსანდრე (კახაძ ლომაიას მინისტრობის პერიოდში საგანმანათლებლო სფეროს არაერთი კვალიფიციური ექსპერტი აფრთხილებდა ხელისუფლებას, რომ სასკოლო გამოცდების გაუქმება, უმაღლესი განათლების საფეხურზე გადასვლისას სკოლის ატესტატის სრული უგულებელყოფა და უნივერსიტეტებში ჩარიცხვის ერთადერთ კრიტერიუმად მხოლოდ ზოგადი უნარების, ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენისა და, ზოგ შემთხვევაში, მათემატიკის ტესტური გამოცდების მაჩვენებელთა გათვალისწინება უეჭველად გამოიწვევდა სკოლის, როგორც ძირითადი საგანმანათლებლო ინსტიტუტის, მოშლას, სწავლის მოტივაციის დაკარგვასა და სასწავლო პროცესის პროფანაციას, პრაქტიკულად, ბაკალავრიატში გაუნათლებელი და კრიტიკული აზროვნების უნარს მოკლებული კონტინგენტის მოდინებას და ა.შ. მაგრამ რეფორმის ინიციატორთა უწიგნურობა, მანიაკალური ამპარტავნობა და მოსალოდნელი შედეგების სრული იგნორირება გამორიცხავდა (და, როგორც ჩანს, დღესაც გამორიცხავსძ ნორმალურ დისკუსიას, შედეგების საფუძვლიან გათვლასა და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებას.

მოხდა ის, რაც გარდაუვალი იყო – მოსწავლეებმა დაკარგეს სკოლაში სწავლის მოტივაცია და ისინი წლების განმავლობაში მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდებით გათვალისწინებულ დისციპლინებს ეუფლებოდნენ. მოხდა სასწავლო პროცესის სრული გაუფასურება და სკოლაში სიარული არსებითად ფორმალობად გადაიქცა. გია ნოდიას მინისტრობის დროს „რეფორმატორთა“ ნაწილი ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთოდ გაუქმებას და მხოლოდ ერთი – ზოგადი უნარების – ტესტის დატოვებას გეგმავდა. ეს „ბრძნული“ მოსაზრება მათი მხრიდან სოციალური სამართლიანობითა და ხელმოკლე ოჯახების (ვისაც საშუალება არა აქვს, შვილი რამდენიმე საგანში მოამზადოსძ ინტერესებით იყო „არგუმენტირებული“.

2010 წლის ზაფხულში ვითარება მკვეთრად შეიცვალა – საყოველთაოდ ცხადი გახდა, რომ ქართველი ახალგაზრდობის ცოდნის დონე ზოგადად, – ტექნიკურ დისციპლინებში კი განსაკუთრებით, – ვერ უახლოვდება მინიმალური კომპეტენციის ზღვარსაც კი. ეს სრული კატასტროფაა ქვეყნისა და მისი მომავლისათვის. ამას, ჩვეულებისამებრ, მოჰყვა სააკაშვილის ისტერიკული გამოსვლა და სავსებით გაუაზრებელი, ნაჩქარევი და არაკვალიფიციური მოთხოვნა დაუყოვნებლივ (მომდევნო წელსვეძ ცხრა საატესტატო გამოცდის შემოღების შესახებ. განათლების სამინისტრო და მისი ამჟამინდელი ხელმძღვანელი სალდაფონური სიხისტითა და მონური მორჩილებით შეუდგა ამ ახალი „ბრძნული გადაწყვეტილების“ ცხოვრებაში გატარებას.

მოსწავლეები აღმოჩნდნენ მათთვის სრულიად დაუძლეველი ამოცანის წინაშე – დარჩენილ თვეებში ჩასაბარებლად მოამზადონ რვა დამატებითი საგანი, რომელიც აქამდე საერთოდ არ უსწავლიათ. მათ ბუნებრივ (რაც მთავარია – ლოგიკურძ პროტესტს მორალური ტერორი და მასშტაბური რეპრესიები მოჰყვა: სკოლის დირექტორების უკანონო, ადამიანის ღირსების შემლახველი ფორმით დაბარება და თანამდებობიდან გადაყენება, მოსწავლეების „სოდსა“ თუ „კუდში“ დაბარება და მათი ფსიქოლოგიური დამუშავება, მშობლების დაშანტაჟება და მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლა და ა.შ. სწორედ ასე ესმით ჩვენს „რეფორმატორებსა“ და თავად სააკაშვილსაც სოციალური და, უბრალოდ, ადამიანური სამართლიანობა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები.

ეს ყველაფერი კეთდება იმიტომ, რომ ხელისუფლებას არ შესწევს უნარი, აღიაროს საკუთარი შეცდომები, საკუთარ, მართლა „ოროსან“ მოხელეთა უწიგნურობა, იდიოტიზმი და მომავალი თაობების წინაშე ჩადენილი გამოუსწორებელი დანაშაული, რომელსაც თვითონ „განათლების რეფორმას“ უწოდებენ.



არავინ ამბობს, რომ სკოლის ატესტატი ისეთივე ფარატინა ქაღალდად უნდა დარჩეს, როგორც ეს თევზაძე-ლომაიას დროს იყო, არავინ უარყოფს სასკოლო გამოცდების აუცილებლობას, მაგრამ, გარდა უგუნურებისა, რა შეიძლება ვუწოდოთ ხელისუფლების ქმედებას, როდესაც განათლების სისტემაში შექმნილი კრიტიკული სიტუაციის გამოსწორება არა კვალიფიციური სპეციალისტების რეკომენდაციებით, არამედ პოლიციის მეშვეობით აქვს გადაწყვეტილი? მხოლოდ მანიაკალურ, ფსიქოზით დაავადებულ ადამიანებს შეუძლიათ ჩათვალონ, რომ თუკი რეპრესიების მეშვეობით მოხერხდა მოსწავლეების, მათი მშობლების, პედაგოგთა კორპუსისა და მთელი საზოგადოების გაჩუმება, პრობლემა აღარ იარსებებს.

შექმნილ ვითარებაში „ქართული აკადემია“ მიიჩნევს, რომ ნებისმიერი პატიოსანი მოქალაქის ვალია, სიტყვით და საქმით წინ აღუდგეს ამ წარმოუდგენელი სიბრიყვის, სიბნელის, უსამართლობისა და სისასტიკის მოძალებას, რათა საქართველომ მომავალში არ მიიღოს არა მარტო გაუნათლებელი, არამედ სოციალურად დაკომპლექსებული, საკუთარ სახელმწიფოზე გაბოროტებული თაობები.

„ქართული აკადემია“

14.11.2010.

◉ ერთი ტელეგადაცემის კვალდაკვალ

# დეპუტატის ფიცი კი გვწამს, მაგრამ კინოფირზე აღბეჭდილ მილებს რა ვუყოთ?



## „მადნეულისგან“ სტიქია გვიახლოვდება, რადგან ხალხის ჯანმრთელობას მავანს ბევრი ფული ურჩევნია!

**გრანდიოზული გასართობი პროექტები: „ფეშენ-ვიკი“, ჯაზფესტივალები, მშვიდობის კონცერტი, რუსეთ-საქართველოს შესახებ მაღალბიუჯეტიანი ფილმი, ამას დამატებული საარჩევნო კამპანიის დაფინანსება და სხვა... — ამ ყველაფრის გენერალური სპონსორი თუ არა, თანადამფინანსებელი მაინც სააქციო საზოგადოება „მადნეულია“. მისი ნომინალური დირექტორი გიორგი დევაძეა, მაგრამ საწარმოს ასევე ხშირად სტუმრობს ბოლნისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ნაყოფია და დირექტივებსაც იძლევა. ის 2004 წლიდან მადნეულის დირექტორი იყო, მას შემდეგაც, რაც მადნეული რუსული „პრომიშლენ-ინვესტორის“ შვილობილმა კომპანია „სტენტონ იქვითის კორპორეიშნმა“ შეიძინა, ვიდრე ადგილობრივი პარლამენტის არჩევნებამდე.**

ვინც „მაესტროზე“ გასული სტუდია მონიტორის ფილმი უკვე ნახეთ, ალბათ, მიხვდით, წერილი რაზეა, ხოლო ვისაც არ გინახავთ, ნანა ნასყიდაშვილის ჟურნალისტური გამოძიება შემდეგზე გვიყვება: როგორ წამლავს „მადნეული“ ბოლნისსა და საქართველოს.



ფილმი „მადნეულის“ მხრიდან მდინარე მაშავერას დაბინძურებას შეეხება. საწარმოს გამოყენებული წყალი სხვადასხვა ადგილებიდან ჟონავს და მდინარეს მძიმე ლითონების შემცველი წყლით აბინძურებს. ვენახებისა და ბოსტნების დიდი ნაწილი რეგიონში აღნიშნული მდინარის წყლით ირწყვება, ხოლო მოწეული პროდუქტი საქართველოს მასშტაბით ნაწილდება. დაავადებებმა იმატა ბოლნისში, ხელისუფლება კი საზოგადოებას უმალავს, რომ მათს ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.

ბოლნისელი გლეხები უწყლობას არ უჩივიან. მდინარე წყალუხვია, მაგრამ ბინძური. ერთადერთი მდინარე აქვთ, მაგრამ პატარებს იქ საბანაოდ არავინ უშვებს, თევზი არ ცურავს. თევზი კი არა, ბაყაყიც არ არის. არადა, მდინარე ცისფერი, კამკამა და წმინდაა, თევზიც ბოლომდე ჩნდება, როცა... როცა „მადნეული“ გაჩერებულია.

„მადნეულის“ ნაჟური წყლის შემგროვებელი საცავიდან სამი მილით წყალი მდინარე კაზრეთულაში ჩაედინება, რომელიც მაშავერას უერთდება. ლაბორატორიაში გაკეთებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ შესართავიდან 100 მეტრით ზემოთ აღებული წყალი სუფთაა, ხოლო ჩამდინარე წყალი სავსეა მაღალი კონცენტრაციის მჟავათი, რკინითა და სპილენძით.

წყლის კვლევის ანალიზი „მადნეულმაც“ გააკეთა და გაეროს გარემოს დაცვის ორგანიზაციამაც. გარემოს დაცვის სამინისტრომ ლაბორატორიული დასკვნა გასცა, სადაც პირველ შემთხვევაში წყლის შემდგენლობა ზღვრული ნორმის შესაბამისია, ხოლო მეორე — პასუხში — 30-ჯერ აღემატება, ანუ... რასთან გვაქვს საქმე, მისახვედრად, მარტივია!

დაბინძურებული წყალი, ბუნებრივია, მავნე ზემოქმედებას ახდენს პროდუქტზე. ასეთი საკვების ხანგრძლივი მოხმარება კი პათოლოგიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში. შედეგმაც არ დააყოვნა, 2000-2009 წლებში 4-ჯერ გაიზარდა ბოლნისში სიმსივნეთა რაოდენობა, დანარჩენ საქართველოში — 2-ჯერ. ბოლნისის ბოსტნეული მთელ საქართველოში ხვდება, განსაკუთრებით თბილისში. ხახვი, კარტოფილი, კიტრი, პომიდორი... ვის არ გვიგემია იქაური ბოსტნეულის გემო.

საინტერესოა, რომ ბოლნისის წინა საკრებულოს თავმჯდომარე ამ ფაქტებს არ მალავდა და „ხმაურობდა“ მაინც, განსხვავებით ამჟამინდელისგან, რომელიც თითქოს „ბაიბურში“ არ არის, რაზე წუხს ადგილობრივი მოსახლეობა, მაგრამ ამავე დროს სამედიცინო დაწესებულებებს კი მოსთხოვა, თავი აარიდონ მოქალაქეთა ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების გაცემას. კობა ნაყოფია ჟურნალისტებთან სატელეფონო საუბარში კატეგორიულად უარყოფს ნაჟური წყლის სადენი მილების არსებობას და ზოგადად იმასაც, რომ „მადნეულისგან“ მოსახლეობას რაიმე საფრთხე ემუქრება. არადა, მადნეულმა პრივატიზების დროს გარემოს დაცვითი ვალდებულებები აიღო, იმის შესახებ, რომ აღმოფხვრიდა ჯანმრთელობისთვის და ცოცხალი არსებისთვის საშიშ კერებს.

**კობა ნაყოფია ამტკიცებს, რომ მადნეულმა ყველა აღებული ვალდებულება პირნათლად შეასრულა. ფიცი გვწამს, მაგრამ ფილმში ნანახი მილები ძალიან გვაკვირვებს. ფაქტი ჯიუტად მეტყველებს საწინააღმდეგოს.**

**ან იქნებ არც იცის დეპუტატმა? — „შესაძლოა“, თორემ აბა, რა პრობლემა გახდა ამ საწარმოსთვის სამი ჟანგიანი მილის გამოცვლა, როცა ოქრო-ვერცხლის მომპოვებელ კვარციტებს ამუშავებს? რა ისეთი ჯინი სჭირს მოსახლეობის, ერთიანად რომ ამოგვჟუჟოს? — თუ ბევრი ფული ყველას სიცოცხლეს სჯობს, ბაბა?!**

თეა მოსია




◉ ოპოზიცია

# საარჩევნო გარემოს შეცვლა ოპოზიციისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია

## რა გეგმები აქვს მაღრაძეს?

***„ქალთა პარტია“, მართალია, პოლიტიკურ არენაზე არსებით ამინდს ვერ ქმნის (არც კი ვიცით, სულ რამდენი ქალი ჰყავს ამ პარტიას), მაგრამ გუგული მაღრაძეს ნამდვილად ვერ დავუკარგავთ ობიექტური პოლიტიკური ანალიზის უნარის ფლობას. სხვა თუ არაფერი, ძნელია მისი ბიოგრაფიიდან დაივიწყო, როგორ განუდგა ნაციონალთა გუნდს 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებამდე სამი დღით ადრე და თავისი პოზიცია ხმამაღლა დააფიქსირა.***

ეს მომენტი მან გუშინ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში სტუმრობისას გაიხსენა. ჟურნალისტმა სთხოვა, კომენტარი გაეკეთებინა იმ „რევანშისტი“ პოლიტიკოსების ქმედებებისთვის, რომლებიც ერთხელ უკვე იყვნენ ნაციონალური პარტიისა და ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. **„გამიჭირდება იმის თქმა, რომ ისინი რევანშისტები არიან. გინდათ ენდეთ, გინდათ არა. არის დრო, როცა ხალხს მოცემულ სიტუაციაში მიაჩნია, რომ ამ ადამიანების ქმედებები უფრო მომგებიანია საზოგადოებისთვის“,** — უპასუხა მან.

გუგული მაღრაძე იმ პოლიტიკოსთა ჯგუფშია, რომლებიც მიიჩნევენ, რომ „სახალხო კრების“ იდეა და საარჩევნო კანონმდებლობის ახალ პაკეტზე მუშაობა ქვეყნის განვითარებისთვის სასარგებლოა, მაგრამ ის ერთადერთია, ჯერჯერობით, ვინც იქაც დგას და აქაც, ანუ მაღრაძისთვის ორივე ინიციატივა მისაღებია. ალბათ, „ქართული პარტიის“ 24 ნოემბრის დიდ შეკრებაზეც მოვა და 25 ნოემბრის „ეროვნულ კრებაზეც“.

**„სახალხო კრების იდეას მხარს იმიტომ ვუჭერ, რომ ორიოდე წლის წინათ ჩვენც გვქონდა მსგავსი პროექტი. კოკო გამსახურდია, გია მაისაშვილი, აკაკი ასათიანი და მე მაშინ პოლიტიკოსებს აქტიურად ვთხოვდით ამ პროცესში ჩართვას. ეროვნული კრება 2009 წლის 31 მარტს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ვინაიდან 9 აპრილის აქციები დაიგეგმა, ამის გამო პროექტის ლობირება აღარ გავაგრძელეთ. „რვიანის“ ინიციატივასაც მხარს ვუჭერ, ვინაიდან არჩევნების ობიექტურად ჩატარების სურვილი, ეს იქნება ხელისუფლების ლაკმუსის ქაღალდი. საარჩევნო გარემოს შეცვლა ოპოზიციისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. პირველ ღილს არასწორად თუ შეიკრავ, მერე ყველაფერი არასწორად მიდის“,** — განაცხადა პრესკლუბის სტუმარმა.

ამის გარდა, ეს იქნება ფილტრაციის პროცესი პოლიტიკური პარტიებისთვისაც, — მიიჩნევს „ქალთა პარტიის“ ლიდერი, — დღეს ყველას აქვს საბაბი თქვას, არჩევნები რომ ობიექტურად ჩატარებულიყო, გამარჯვებული ვიქნებოდიო. გუგული მაღრაძე ივანე ჯავახიშვილის თბილისის უნივერსიტეტის რექტორის გია ხუბუას გათავისუფლებასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ის სახელისუფლებო თამაშებს შეეწირა. **„ასეთი ფორმით არ უნდა გაეშვათ, თუ მართლაც წიგნებს იპარავდა რექტორი, მაშინ მტკიცებულებები უნდა დაედოთ. რაც შეეხება ახალ რექტორს, ვინაიდან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აღარ ვარ, მასთან შეხება არა მაქვს. ყველანაირი პასუხისმგებლობა მოხსნილი მაქვს, ერთ რიგით პროფესორად ვრჩები“,** — დასძინა მან.

ნია ფიფია.

№ 214. ოთხშაბათი, 17 ნოემბერი, 2010 წელი.

ტრანსპორტი

***საზოგადოებრივი** ტრანსპორტი — სახელმწიფო იქნება ის თუ საკუთარი, ხელისუფლების მუდმივი ყურადღების ცენტრშია, რასაც მის მიერ ბოლო წლების მანძილზე გადადგმული ნაბიჯებიც მოწმობს. დემაგოგიურად ყველაზე გამორჩეული ამ მხრივ დედაქალაქში ტრამვაის ხაზების გაუქმება, დენსადენების მოხსნა და ლიანდაგების ამოყრა იყო, თუმცა ბოლო დროს ნელ-ნელა დაიწყო მის ეკოლოგიური სისუფთავის თაობაზე ლაპარაკი, თან ისეთი ტონით, თითქოს რამდენიმე წლის წინათ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ქვეყნისთვის უმძიმეს 90-იან წლებში გამეფებულ შიდა დაპირისპირებას, თბილისში (და არა მარტო აქ) ავტობუსების პარკის მკვეთრი შემცირება მოჰყვა, მაგრამ, როგორც ყველამ კარგად ვიცით, ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს და, დროთა განმავლობაში, ავტობუსები ჩვენში სამარშრუტო ტაქსებმა, ანუ როგორც მათ ევროპაში უწოდებენ „საშუალო ტევადობის ავტობუსებმა“ ჩაანაცვლეს. ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე, „მარშრუტკების“ პარკიც გაიზარდა და მათ დიდი ქალაქების თუ საქალაქთაშორისო გადაზიდვებში „პირველი ვიოლინოს“ როლი იკისრეს. სამარშრუტო ტაქსების ასივე პროცენტი კერძო საკუთრებაშია, თუმცა არავისთვისაა ახალი ამბავი, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის ამ სფეროში უმეტესწილად შენიღბული ფორმით, მრავალი საზოგადო თუ პოლიტიკური ფიგურის ფინანსური ინტერესები დევს. ამასთან, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს სამარშრუტო ბაზარი, მისი უსასრულოდ გაწელვა მაინც შეუძლებელია, მსუყე ლუკმა, როგორც ჩანს, „სუფრასთან დაუპატიჟებლებს“ მადას აღუძრავს, ამიტომაც ბოლო დროის მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ ახლო მომავალში თბილისში სამგზავრო გადაზიდვების სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება.*

# მსუყე ლუკმის გადანაწილება თუ თანამოქალაქეებზე ზრუნვა?



ამ ფიქრის საფუძველს რამდენიმე გარემოება გვაძლევს. ჯერ იყო და, თბილისის მერიამ მგზავრთათვის მეტად მოუხერხებელი „ყვითელა“ ავტობუსები „შემოგვიგდო“, რომელთა მრავალი მარშრუტი სამარშრუტო ტაქსების სვლაგეზს „დააჯდა“ და საგრძნობი კონკურენცია გაუწია. მერე მერიამ მგზავრობის ფასი გააორმაგა, რასაც სრული კრახით დასრულებული კონდუქტორების ინსტიტუტის შემოღება მოჰყვა, რომლის ფიასკოს შემდეგ უზარმაზარ თანხად ახალი, ყოვლად უვარგისი სალარო აპარატები დადგეს და ასევე კოშმარული „ყვითელა“ კონტროლიორების ზონდერრაზმი დაგვიყენეს ზედამხედველად. ახლა კი, როგორც ჩანს, სატრანსპორტო სფეროსთვის რაღაც ახალი გეგმაა შემუშავებული, რომლის განხორციელება რამდენიმე ეტაპს მოიცავს.

პირველი, რომლის „სიკეთე“ თბილისელებმა უკვე იგემეს, დაახლოებით 30 მოსახერხებელი საავტობუსო მარშრუტის გაუქმება იყო, რომელიც **„ტექნიკური მიზეზებით გამოწვეული დროებითი შემოკლება-შეჩერებით“** ახსნეს. აქვე ერთ კითხვას დავსვამთ: **თუ ეს დიდი ზარ-ზეიმით ჩამოყვანილი და „გზადალოცვილი“ ყვითელი ავტობუსები ასეთი უვარგისი იყო** (ამას თუნდაც თურქეთიდან ჩამოტანილი ნაკლებად ხარისხიანი სათადარიგო ნაწილებით მათი გახშირებული შეკეთებების აუცილებლობა მოწმობსძ, **რა საჭირო იყო მაინცდამაინც მათი შემოყვანა?** თუმცა, თავი დავანებოთ წმინდა წყლის რიტორიკას და ისევ წერილის ძირითად თემას დავუბრუნდეთ.

ავტობუსების რიცხოვნობის შემცირებამ და მარშრუტების შემოკლებამ თბილისელებს მრავალი პრობლემა შეუქმნა — დანიშნულების ადგილზე მისასვლელად საჭირო დრო გაიზარდა, ერთი ტრანსპორტით მგზავრობის სანაცვლოდ ორი-სამი გადასხდომა უწევთ, რაც მგზავრობის ფასს ზრდის. ბუნებრივია, რომ ხალხი უკმაყოფილოა და, როგორც ჩანს, ყოველივე ხელს აძლევს იმათ, ვისაც დედაქალაქის სატრანსპორტო სფეროს გადანაწილება აქვს ჩაფიქრებული, რადგან ახლა ჯერი სამარშრუტო ტაქსებზეა მიმდგარი. დაინტერესებულ წრეებში ათასნაირი ჭორი დადის და მითქმა-მოთქმაა იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რა გეგმები არსებობს ამასთან დაკავშირებით, თუმცა მათ დაწვრილებით გადმოცემას არ მოვყვებით, მით უმეტეს, რომ თემის არაერთგვაროვნებისა და სირთულის გამო, ამას დიდი დრო დასჭირდება. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ დედაქალაქში სამარშრუტო ტაქსების საკითხი ნამდვილად მოსაწესრიგებელია, და ეს ნამდვილად ეჭვგარეშეა. მთავარი ის არის, თუ ვინ იზარალებს პრობლემის მოგვარებით და ვინ — იხეირებს.

უნდა ითქვას, რომ საკითხის გადაჭრაში აქტიურადაა ჩაბმული საქართველოს ტრანსპორტის, გზების მშენებელთა და ავიატრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირი მისი თავკაცის ლავრენტი ალანიას ხელმძღვანელობით, რომელმაც სამარშრუტო ტაქსების მძღოლებთან შეხვედრა საქართველოს პროფკავშირების კულტურის ცენტრში გასულ შაბათს გამართა.

თავყრილობაზე ბატონმა ალანიამ, კერძოდ, აღნიშნა, რომ ავტობუსების რამდენიმე ათეული მარშრუტის შემოკლება-შეჩერება იმის წინაპრობას ქმნის, რომ თბილისის მერიამ სამარშრუტო ტაქსებთან დაკავშირებით ტენდერი რაც შეიძლება მოკლე ვადაში გამოაცხადოს, რაც თავის მხრივ, ამჟამად ამ სფეროში დასაქმებულების აბსოლუტურ უმრავლესობას წამოყენებული პირობების შესასრულებლად, ფაქტობრივად, დროს არ დაუტოვებს. ამის დაბეჯითებით თქმის საშუალებას ამ სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციის „დაცული მოძრაობის“ ხელმძღვანელის დავით მესხიშვილის რამდენიმე დღის წინანდელი სატელევიზიო განცხადება იძლევა, რომელმაც თქვა, რომ დედაქალაქის სამარშრუტო ტაქსების პარკის 99 პროცენტი საექსპლუატაციოდ უვარგისია, რაშიც ბატონი მესხიშვილი (რომელიც, სხვათა შორის, მანამდე თბილისის ჯანდაცვის სამსახურის უფროსი, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, მთავარი სანიტარიული ექიმი, შემდგომ კი ჯანდაცვის სამსახურის ფიტოკონტროლის სამსახურის უფროსი იყოძ, მძღოლებს ადანაშაულებს.

ბატონმა ალანიამ კითხვა დასვა, რომ თუკი სამარშრუტო ტაქსების პარკი მართლაც ასეთ საშინელ დღეშია, მაშინ აქამდე რატომ აძლევენ მუშაობის საშუალებას და თავადვე უპასუხა, რომ, როგორც ჩანს, ვიღაცას მძღოლთა წინააღმდეგ გარკვეული პიარკამპანიის აგორება სურს. მან ასევე აღნიშნა, რომ ბოლო დროს მას თბილისის მერიაში რამდენიმე საქმიანი შეხვედრა ჰქონდა სატრანსპორტო სამსახურის მესვეურებთან, რომელთა შედეგად შეთანხმდნენ, რომ საჭიროა დედაქალაქის სამარშრუტო ტაქსების პარკის გარკვეული ინვენტარიზაციის ჩატარება, მოქმედი მარშრუტების, მათზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებებისა და მძღოლთა რიცხოვნობის ყოველდღიური შემოსავლის ოდენობისა და ზოგიერთი სხვა საკითხის გარკვევა, ოღონდ აუცილებლად სამარშრუტო ტაქსების მძღოლთა წარმომადგენლობითი დელეგაციის წევრთა თანდასწრებით. ასევე აღინიშნა, რომ ლაპარაკია მხოლოდ სამუშაოსთან დაკავშირებულ საკითხთა გარკვევაზე, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა მიერ პროპაგანდისტული მიზნებისთვის არ უნდა იყოს გამოყენებული.

სამგზავრო გადაზიდვები ნებისმიერი სახეობის ტრანსპორტით, გამართული სატრანსპორტო საშუალებებით რომ უნდა ხდებოდეს, ამის თაობაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ **მძღოლებს, გადამზიდავ ფირმებს, ხაზების მეპატრონეებს თბილისის მერიასთან შეთანხმებით, დიალოგის რეჟიმში მიღებული პირობების შესასრულებლად აუცილებლად გარკვეული დრო დასჭირდებათ, რომელიც ასევე ერთობლივად უნდა დადგინდეს, ხოლო შემდგომ თბილისის მერია ინტერნეტით და ტელევიზიით შესაბამისი ტენდერის მოთხოვნებს გამოაქვეყნებს, რომელიც მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში გაიმართება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. მერიასთან შეთანხმებით მომავალში მისაღები პირობების შესასრულებლად კი, ბატონ ალანიას თქმით, სულ მცირე, ექვსი თვე მაინც იქნება საჭირო.**

საგულისხმო იყო ასევე პროფკავშირების თავკაცის განცხადება მისი ბაქოში მომავალი მცირევადიანი მივლინების თაობაზე, სადაც სამარშრუტო ტაქსებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ახლო წარსულში თბილისზე გაცილებით რთული მდგომარეობა იყო, მაგრამ ბოლო დროს იქ ვითარება დალაგდა. აზერბაიჯანის დედაქალაქში მისი ხანმოკლე ვიზიტი სწორედ იქაური გამოცდილების გაცნობას ისახავს მიზნად, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებთან მომავალი შეხვედრა კი კვირის დამლევს იგეგმება.

**ოთარ ტურაბელიძე**

### ინფორმაცია თემაში

***საქართველოს** მთავრობა დღესდღეობით მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი ფირმების წარმოებული მანქანებით დაკომპლექტებული ავტოპარკის ამერიკული „ჯერალ მოტორსის“ ელექტრომობილებით და ჰიბრიდული ავტომობილებით ჩანაცვლებას აპირებს. მართალია, ვერონიკა ქობალიას უწყება ამის თაობაზე ჯერ მხოლოდ მოლაპარაკებას აწარმოებს, მაგრამ უკვე ცნობილია სავარაუდო გარიგების ღირებულება — 164 მილიონი დოლარი, რომლის თანახმად ოთხი ათასი ავტომანქანა უახლოეს ოთხ წელიწადში უნდა შეიძინონ.*

*გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“ ამის თაობაზე აღნიშნავს, რომ იმავე რაოდენობის „ნისანის“ ან „ტოიოტას“ მანქანების შეძენა საქართველოს, შესაბამისად, 128 და 88 მილიონი დოლარი დაუჯდებოდა, თან დასძენს, რომ „ჯენერალ მოტორსის“ მიერ Chevy Voet-ის მარკის ავტომობილების წარმოება საქართველოზე ორიენტირებული არ ყოფილა, ხოლო ელექტრომობილებისა და ჰიბრიდული ავტომანქანების წარმოების პროექტის წარმატებაში თავად ამერიკელებიც არ არიან დარწმუნებულნი.*

### ინფორმაცია

## ბარაკ ობამამ საბავშვო წიგნი გამოსცა

**დღეიდან, აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას საბავშვო წიგნი გაიყიდება სახელწოდებით — „შენ გიმღერი: წერილი ჩემს გოგონებს“. 40-გვერდიანი წიგნის ტირაჟი 500,000 ეგზემპლარს შეადგენს და ერთი ეგზემპლარის ფასი 17.99 დოლარი იქნება. ამის შესახებ „ასოშიეიტედ პრესი“ იუწყება.**




**ობამას წიგნი 13 მოთხრობისგან შედგება და ამდენივე სახელგანთქმულ ამერიკელზე მოგვითხრობს — დაწყებული ჯორჯ ვაშინგტონიდან დამთავრებული ცნობილი ბეისბოლის ვარსკვლავით, ჯეკი რობინსონით. წიგნის ილუსტრაციები ცნობილ ამერიკელ მხატვარს ლორენ ლონგს ეკუთვნის.**

**აშშ-ს პრეზიდენტის წიგნი სამზე მეტი წლის ასაკის ბავშვებისთვის არის განკუთვნილი.**

**ცნობისათვის, ბარაკ ობამა პირველი ამერიკელი პრეზიდენტი არ არის, ვინც საბავშვო წიგნი დაწერა - თავის დროზე წიგნები ბავშვებისთვის ჯიმი კარტერმა და თეოდორ რუზველტმაც დაწერეს.**

## ქართველი სამხედროები ავღანეთიდან დაბრუნდნენ

**საქართველოს შეიარაღებული ძალების 31-ე ბატალიონის (შემადგენლობა — 749 ჯარისკაცი) სამხედროები ავღანეთიდან საქართველოში დაბრუნდნენ. ქართველი ჯარისკაცები ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში, ჰელმანდის პროვინციაში მსახურობდნენ.**

**ოპერაციაში მონაწილე ბატალიონის დანაყოფი საქართველოში ორშაბათ საღამოს ჩამოვიდა.**



**მათ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი დევი ჭანკოტაძე და ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი დახვდნენ.**

**ქართველი სამხედროების როტაციის წესით ჩანაცვლება მიმდინარე წლის ნოემბრის თვის ბოლომდე დასრულდება. 31-ე ბატალიონს მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონი ეტაპობრივად ენაცვლება.**

ჯი-ეიჩ-ენი

მშიერი ეკონომიკა

# ღატაკი ქვეყნის „მდიდარი“ ბიზნესი

## იმდენი გვაბოლეს, ლამის „დაგვაკაპჩონეს“



**მას შემდეგ, რაც ნაცები ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, საქართველოში „დაბოლება“ ყველაზე „მოდურ“ სიტყვად იქცა. იმას კი აღარ ამბობენ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა მორიგი ტყუილი დაახეთქაო, არა, მოკლედ და გასაგებად, თანაც ინგლისურად კი არა, ქალაქური ქართულით გეტყვიან — „მიშამ დააბოლაო“ და გაჩუმდებიან. თავად მიშა კი, მოგეხსენებათ, გაჩუმებული და დაფიქრებულ-დაჯავრიანებული ჯერ არავის უნახავს, არც მშობლიურ საქართველოში, არც უცხოეთის ულტრაცივილიზებულ ქვეყნებში და არც მივარდნილ ჯუნგლებში. ის ყველგან და ყოველთვის მხიარული და ხალისიანი, ენამჭევრი და ენაწყლიანი „დამბოლებელია“.**

ამას წინათ პრეზიდენტმა „თავისუფალ უნივერსიტეტში“ გამოსვლისას, იმ უნივერსიტეტში, რომელიც ნამინისტრალ-ნაჩარჩალმა ბენდუქიძემ გაყიდული საქართველოს საზღაურად „საჩუქრად“ უძღვნა ქართველ ახალგაზრდობას და რომელშიც სწავლება თითოეულ სტუდენტს წელიწადში 8-9 ათასი დოლარი უჯდება, სააკაშვილმა იმდენი იბაქიბუქა და იტრაბახა, რომ იქ დაბოლებულმა მტვრის კორიანტელმა ოჯახებში ტელევიზორებშიც „გამოჟონა“.

ვიცი, მავანი შემედავება, რას ერჩი მაგ მწყაზარ ადამიანს, აბა შენ გამხდარიყავი მსოფლიოში ერთხმად აღიარებული ჩემპიონი პრეზიდენტი და ვნახავდით თუ მამალი ინდაურივით არ გაიფხორებოდიო. რომ არ შევედავო, იქვე შემახსენებს, რომ სწორედ სააკაშვილის „ბრძნული პოლიტიკის“ წყალობით შეძლო ერთი მუჭა, ჩამორჩენილმა და განუვითარებელმა საქართველომ, გამხდარიყო, მსოფლიოში ნომერ პირველი რეფორმატორული ქვეყანა, ასევე, ბიზნესის კეთების სიადვილით პირველობა არავისთვის დაეთმო და ამ მხრივ უკან ჩამოეტოვებინა საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, ინგლისი და თვით ამერიკის შეერთებული შტატებიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ევროპისა და აზიის სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე.

ჰოდა რა ქნას სააკაშვილმა, ასეთი მიღწევების ფონზე ძალიანაც რომ მოინდომოს თავმდაბლობა, მაინც არაფერი გამოუვა. რომ დადგეს და იძახოს — ღატაკი ქვეყნის პრეზიდენტი ვარო, ვინ დაუჯერებს? ამიტომ ზემოთ ნახსენებ უნივერსიტეტში გამოსვლისას იძულებული გახდა ზოგიერთ წარმატებაზე, რასაც საქართველომ მისი თავკაცობის პერიოდში მიაღწია, გაკვრით მაინც ეთქვა. კერძოდ, მორიდებით შეაპარა აუდიტორიას, რომ საერთაშორისო კვლევის მონაცემებით, ბოლო წლებში საქართველომ დაბალი ადამიანური განვითარების ჯგუფის ქვეყნებიდან უკვე მაღალი ადამიანური განვითარების ჯგუფში გადაინაცვლა, რომ მართალია სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ კარგად წამოწყებული ბაყაყების ექსპორტი ჩაგვივარდა, მაგრამ სამაგიეროდ ენერგეტიკული პროდუქციისა და კანონიერი ქურდების ექსპორტი ერთიორად გაიზარდა(!).

**პრეზიდენტს არ დაუმალავს, პირიქით, როგორღაც სიამაყითაც კი განაცხადა, რომ დიდი წარმატებით რეფორმირებულ საქართველოში დღეს ყოველი მეოთხე კაცი უმუშევარია (ეტყობა შეეშალა, „ყოველი მეორე“ უნდა ეთქვა), რომ სოფლის მეურნეობა ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის მხოლოდ 11-12 პროცენტს იძლევა, მაშინ როცა სოფელში მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს. ამჯერად არა, მაგრამ თავის სხვა გამოსვლაში (ღვთის წყალობით ჩვენი ეროვნული ტელეკომპანიები მის ყოველ გამოსვლას სიტყვის დაუკარგავად აშუქებენ) სააკაშვილმა როგორღაც გაბედა და ოპოზიციას უსაყვედურასავით — ეგენი მუშაობას რომ გვაცლიდნენ, თითო-ოროლა ნაკლი შემოგვრჩა და ესეც არ გვექნებოდაო. თუმცა, ყველაფერს რომ აცლიდნენ, ნაცების ენერგიასა და ენთუზიაზმს რა ქვეყანა დაიტევდა? და ალბათ არც ის „პატრიოტული“ დევიზი („გასაკეთებელი კიდევ ბევრია!) გაჩნდებოდა, მათ ბოლო არჩევნები რომ მოაგებინა.**

არადა თუ გაეროს მონაცემებს დავეყრდნობით, გაოცდებით, ამ ჩვენს ქოსატყუილა მთავრობას იმდენი საკეთებელი ჰქონია. იმ მონაცემებით, აცხადებს „საქართველოს მწვანეთა პარტიის“ ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე, **„საქართველოში აბსოლუტურ სიღატაკეში ცხოვრობს 600 ათასი ადამიანი. ეს ის მოქალაქეები არიან, რომლებსაც დღეში 1 დოლარისა და 25 ცენტის შემოსავალი აქვთ. იმავე მონაცემებით, საქართველოში 2 დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს 1 მილიონ 300 ათას კაცს, ანუ თვეში 110 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მილიონ 300 ათასი ღატაკი გვყავს. საერთოდ, საქართველოში სიღატაკის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 55 პროცენტი — 2 მილიონ 400 ათასი კაცი ცხოვრობს“.** პრეზიდენტ სააკაშვილის „მონაცემებით“ კი ამ მაჩვენებელმა ბოლო წლებში იარა, იარა და 18 პროცენტამდე ჩამოვიდა(!).

გაეროს რომ თავი გავანებოთ, არსებობს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც, რომელთა კვლევებიდან კარგად ჩანს, რა კატასტროფულ სიტუაციაშიც ვიმყოფებით. **ერთ-ერთი ასეთი კვლევის მიხედვით, საბჭოეთის ყოფილი 15 რესპუბლიკიდან ეს ჩვენი რეფორმირებული და მდგრადად განვითარებადი საქართველო, ეკონომიკური განვითარების ტემპით თურმე მე-14 ადგილზეა და მხოლოდ ტაჯიკეთს უსწრებს(!). ისიც ცნობილია, რომ ჟურნალ „ნიუსვიკს“, რომელმაც მსოფლიოს 100 მოწინავე სახელმწიფოს სია გამოაქვეყნა, მასში საქართველოს შეტანა რატომღაც „გამორჩა“. იმ პარამეტრებით (ხალხის განათლება, ჯანმრთელობა, კრიმინალური მდგომარეობა, სტაბილურობა), რომელთა მიხედვითაც ჟურნალმა ხსენებული სია შეადგინა, საქართველოსთვის რატომღაც ადგილი ვერ გამოიძებნა.** ისეთმა ნაკლებად ცნობილმა ქვეყნებმაც კი, როგორიცაა ბურკინა-ფასო, კამერუნი, გაბონი და სხვები, შეძლეს იმ სიაში მოხვედრა, ამერიკელთა ფავორიტი საქართველო კი „ოფსაიდში“ აღმოჩნდა.

ყოველივე ამის შემდეგ გაკვირვებისგან თუ ფრთები არ გამოგესხმებათ, თმა მაინც აგებურძგნებათ, როცა პრესის ფურცლებზე წაიკითხავთ ან ტელევიზორით მოისმენთ, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო ბოლო 5 წლის განმავლობაში გატარებული რეფორმების წყალობით, პლანეტის ყველაზე წარმატებული ქვეყანაა. ბიზნესის კეთების სიმარტივით თუ სიადვილით ხომ მას ბადალი არა ჰყავს მთელ დუნიაზე!

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თუ ყველაფერში ჩემპიონები ვართ, თუ ეკონომიკა გვიყვავის და ბიზნესს სიმდიდრე თავზე გადასდის, მაშ ღატაკები როგორღა ვართ?

— სწორედ ამაშია ჩაქსოვილი სააკაშვილის რეჟიმის ჯადოსნური პოლიტიკის ნაყოფი, — ამბობს კონსერვატორთა ერთ-ერთი ლიდერი ბიძინა გუჯაბიძე. — მას შემდეგ, რაც ამ რეჟიმმა საერთაშორისო ორგანიზაციებში ლობისტები გაიჩინა, მშვენივრად ახერხებენ პიარზღაპრების შეთხზვას, რომელიც გათვლილია, ჯერ ერთი, შიდა მოხმარებისთვის — მოსახლეობის დასაბოლებლად, და მეორეც — გარეფაქტორის შესაქმნელად, ანუ გასაუმჯობესებლად. სააკაშვილის რეჟიმი მსოფლიო ბანკსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს ისეთ მონაცემების აწვდის, რომ ისინი იძულებული ხდებიან, ასეთი დასკვნები გააკეთონ და თვალი დახუჭონ იმაზე, რაც რეალურად ხდება საქართველოში“.

მაინც რა ხდება რეალურად საქართველოში?

ამას რად უნდა მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ან სხვა ფინანსური ორგანოების ექსპერტობა. განა თითოეული ჩვენგანი საკუთარი თვალებით ვერ ვხედავთ რა ხდება საკუთარ ქვეყანაში? ხელისუფლება წარამარა რომ გაიძახის, მთელ მსოფლიოში ბიზნესის დასაწყებად ისეთი გარემო დღემდე არავის შეუქმნია, როგორიც ჩვენ შევქმენითო, ცოტა გადაჭარბებულად ხომ არ გეჩვენებათ? **საფრანგეთში მთელი კვირა ენაგადმოგდებული რომ დარბიან დოკუმენტების შესაგროვებლად და ბიზნესის დასარეგისტრირებლად, რასაც ჩვენთან თურმე ერთი დღე სჭირდება, ამაზე ულვაშებში (თუ კი გაქვთ, რა თქმა უნდა) არ გეღიმებათ? რომელი ბიზნესის იოლად კეთებაზეა ლაპარაკი, იმაზე ხომ არა, რომელიც საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს? დოკუმენტებს კი იოლად შეაგროვებთ და ბიზნესსაც დაარეგისტრირებთ, მაგრამ ამ ბიზნესიდან შემდეგ რა კურდღელს დაიჭერთ, ამაზე არ გიფიქრიათ? თქვენ თუ არ გამოგიცდიათ, ჰკითხეთ იმას, ვინც ამ იოლი ბიზნესის შედეგი უკვე იგემა და ბიზნესის კეთების სურვილი საერთოდ დაგეკარგებათ.**

რატომ? პირდაპირ გეტყვით — ქვეყანაში ბიზნესზე რეკეტია გამოცხადებული და იმიტომ. იმ ქვეყანაში კი, სადაც ხელისუფლება ბიზნესზე ნადირობს, ცხადია, ბიზნესი და ეკონომიკა ვერ განვითარდება. აკი ვერც ვითარდება. უკვე წლებია, ცალკეული ბიზნესორგანიზაციები იბრძვიან იმისათვის, რომ ქვეყანაში საშუალო ბიზნესი არსებობდეს, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხელისუფლებას ამის სურვილი და ნება არ გააჩნია. მას თავისი კლანების მეშვეობით მონოპოლიზებული აქვს მსხვილი ბიზნესი და სხვა დანარჩენს არსებობის უფლებას არ აძლევს.

ასე რომ, ეს ჩვენი კეთილისმყოფელი ნაცები არც ისეთი ქარიხვეტიები არიან, როგორც ზოგ-ზოგებს ეჩვენებათ. მათ მშვენივრად იციან, რომ ბიზნესის იოლად კეთების იმიტაციის შექმნა, ანუ ჟარგონის ენაზე — „დაბოლება“ — გაცილებით იოლია, ვიდრე რეალური ბიზნესის კეთება და ამიტომ მთელი გაქანებითა და შესაშური „პროფესიონალიზმით“ ასრულებენ კიდეც ამ მისიას. ყველაფერი აწონილ-დაწონილია, შიგნიდან შინახელისუფალნი გვაბოლებენ, ხოლო გარედან — ტიტულოვანი უცხოელი ექსპერტები.

**საზოგადოებაც რომ მიეჩვია შებოლილ ტყუილს? რას იზამ, როგორც ჩანს, შებოლილი ტყუილი, რაჭული ლორის ან მეგრული სულუგუნისა არ იყოს, გაცილებით გემრიელია!**

ოთარ ხუციშვილი

განსჯა

# „სომალიზებული“ საზღვაო სივრცე და იმისი მშვიდად შემყურე მსოფლიო

**ისევ იმ საკითხზე ვაწუხებ, პირველ რიგში, ქალბატონ ნატოს, მეორე რიგში — ბატონ გაეროს, მესამეში უბატონოდ ხმის გაცემით — საერთაშორისო საზოგადოებას (თუ „თანასაზოგადოებას“).**

რამდენი ხანია, რაც სომალის წყლებში გემები სულ უკანალის კანკალით დაცურავენ, მაგრამ ეგ კანკალი რას უშველით — იქაურ მეკობრეებისგან ათობით (ასობით თუ არაქ ხომალდია გატაცებული, ასობით (ათასობით თუ არაქ მეზღვაური და მგზავრი — დატყვევებული, მილიონობით დოლარი — ჩაჩხრიალებული.

თქვე კაი ორგანიზაციებო — ნატო ხარ, გაერო ხარ, ეუთო ხარ, ეგ სულერთია, ვინ ხარ — ნეტავ რა გაგიხდათ ეგ სომალიელი მეკობრეები, აქამდე რომ იმათი თარეში ვერ აგილაგმავთ, დღემდე რომ მაგ ზღვის ყაჩაღებისათვის თხლე ვერ მოგიჭამიათ კი არა, ბუზიც ვერ აგიფრენიათ და ყურებზე ხახვიც ვერ დაგიჭრიათ; როდემდე უნდა ითარეშონ, გემები გაიტაცონ, ტყვეები იყოლიონ, მილიონობით გამოსასყიდი მოითხოვონ... აღარ უშლიან? დიახაც, რომ ვერ უშლიან...

თქვენ, აშშ ხარ, გერმანია ხარ, ესპანეთი ხარ, იაპონია ხარ, ინდოეთი ხარ, იტალია ხარ, რუსეთი ხარ, საფრანგეთი ხარ თუ ჩინეთი ხარ (ანბანზე დაგალაგეთ!) — სომალიელ მეკობრეებზე ნაკლები სისწრაფის გემები გყავთ, ნაკლები შეიარაღება გაქვთ, ნაკლებ ძალებს ითვლით? ის „აყვანილი“ გემები ქინძისთავები ან ნემსები ხომ არ არიან, რომ გადამალონ, ან სახლში პატარა ბალიშზე ჩაარჭონ; არ იცით, განა, სად დააყენებენ ხოლმე, ან ტყვეთა ბანაკები სადა აქვთ მოწყობილი, ან თავიანთი ნავსაყუდელები თუ სახმელეთო ბაზები სად განულაგებიათ? იმ ტყვეთა ბანაკებში ხომ ამდენი ქვეყნის, ამდენი ეროვნების, ამდენი რჯულის ხალხი ჰყავთ გამომწყვდეული; რა გაგიხდათ, რა გაგიჭირდათ ერთი საერთაშორისო სადამსჯელო ექსპედიცია, საერთო-საზღვაო თუ საჰაერო ლაშქრობა, რომ მიუნგრემოუნგრიოთ იქაურობა, მოუშალოთ ყველაფერი და ერთხელ და სამუდამოდ დაუკარგოთ ყაჩაღობის სურვილი! 21-ე საუკუნე და მეკობრეობის ამგვარი გაქანება? მთვარეს, მარსს, იუპიტერს მისწვდით და ზვერავთ — სომალის წყლები გაგიხდათ მიუწვდომელი?

კარგი, საქართველო საცოდავი პატარა ქვეყანაა და თავისი მოქალაქეების გამოხსნის ფრაკი არა აქვს — ტყვეთა შორის ინგლისელები, რუსები არ არიან? შენ, ინგლისო, ტყუილა იყავი მსოფლიოს ზღვების მბატონე-მპატრონე? მეკობრეობის იმხელა გამოცდილება, ესპანეთისა არ იყოს, ტყუილად გაქვს? შენ, დიდო რუსეთო, შარშანწინ პატარა საქართველოს რომ ისე სწრაფად და ოპერატიულად მოუხაზე, სომალის რატომ არ ერჩი, იქ ხომ შენი მოქალაქე-ტყვეებიც არიან!

კაცო, მაინცდამაინც „აბრაამ ლინკოლნი“ (აშშ) ან „დედოფალი ელისაბედი“ (ინგლისი) უნდა „დააბორდაჟონ“ სომალიელმა მეკობრეებმა, რომ მანდ, აშშ-ში თუ ინგლისში თვალი გაახილოთ, ყური შეიბერტყოთ და ხელი გაანძრიოთ?..

ამერიკელებო, ვიეტნამს თუ მიუხტით, ჩრდილოეთ კორეას თუ მიუხტით, უფრო ადრე ხიროსიმასა და ნაგასაკის, ახლა რომ ავღანეთს მიხტომიხართ გაზრიყვებული საქართველოს თანადგომით (ქალლი შინ არ ვარგოდაო, ავღანეთში გარბოდაო!) — სომალი თვალში გედიდებათ? ეგ სომალიელი ზღვის ყაჩაღები ბენ-ლადენივით მოუხელთებელნი გახდნენ, ციხეს რომ ზის, ეგზომ მაღალსა და ვერც თვალნი შესწვდებიან, ვერც ხელნი?..

რა საწყენია, რომ საერთაშორისო „თანამეგობრობა“ ასე არცთუ იშვიათად „დემონსტრირებს“ თავის გულგრილობას, უმოქმედობას, უნიათობას და, თუ გნებავთ, უძლურებას (კერძოდ, ოკუპანტი რუსეთის მიმართაც!)...

ლუკა გორგაძე

## მამული ჩვენი

# მიხაკო

შუაღამისას მაზარის კივილმა ააფორიაქა ინწირას ხეობა. მაზარს მშიერ მგელთა ხროვას ეძახიან ამ აკანში. სასტიკია და დაუნდობელი მაზარი. კი არ ყმუის, კივის და ყივის უცნაურ ხმაზე და შიშის ზარს სცემს გარეშემოს. ჯერ გაღმიდან გაისმა შეფარული სლუკუნი ნადირთა, მერე, ბედიანაჩენის თავიდან გასცა ხმა მეორემ და ცოტა ხანში, თითქოს, ერთობილად გადაირივნენო მთები. აგვარაში აზმუვლდნენ ფურები, აზღავლდნენ ბოჩოლები და მიხაკო ფეხზე წამოიჭრა. – ეჰე-ჰეიი! – „ბერდენკაზე“ ორჯერ უფრო მჭექარე ხმა აღმოხდა მთის კაცს და ეხომ მიმოფანტა იგი ქართლაშისა და თხირიშის საძოვრებზე.

მეორედ არ დასჭირვებია მიხაკოს თოფის სროლა და „ეჰე-ჰეს“ ამოძახილი. გაისუსა ნადირი, სული გაიკმინდა უღრანმა და წიფლნარში სიჩუმემ დაისადგურა.

– კაცის ხმა აფრთხობს ნადირს, რაც უნდა გაცოფებული იყოს იგი!... თუ, კაცი ომახიანია! – თითქოს, წკვარამ სიბნელეს გაესაუბრაო მიხაკო.

ცოტა ხანში, გრგვინვამ შეზარა მიდამო. ელვამ გააპო უკუნეთი და ციდან ნიაღვარი წამოვიდა. ჯერ ცოტ-ცოტა, მერე კი, თითქოს, კოკიდან იღვრებაო, დაუშინა, მაგრამ რა დაუშინა! რამდენიმეგან მეხმა გააპო ასწლოვანი მუხა და ეს კოკისპირული რომ არა, ხანძარი დაენთებოდა ყვირას მთის კალთებზე.

დილამდე გაგრძელდა ეს მეხთატეხა.

– ავდარს რომ იგუმანებს, ასე იცის მაზარმა!... საოცარი ალღო აქვს ბუნებას!... შიმშილი და ავდარი აქცევს ქვეყანას!... ეჰ , ბაბა! – თავისთვის გაიფიქრა მიხაკომ.

თითქმის, სამოცდა ათ წელიწადზე მეტია ნახირს უდგას მიხაკო ამ მთებში. ამ ხნის მანძილზე, ვინ იცის, რამდენჯერ ჩამოსულა ცა დედამიწაზე, რამდენჯერ აყმუვლებულა მაზარი!... ხანდახან შვილები შეენაცვლებიან, თორემ, სხვა დროს სულ აქ არის, მარტოდმარტო, თავის ოცნებებთან ერთად. ოცნებები კი, მართლაც, ბევრი აქვს.

12 წლის იყო მიხაკო, თომა ბაბამ, რომ ამოიყვანა აქ. მაშინაც ნახირი ედგა თხირიშში ოჯახს. თვითონ თომას, საქონლისთვის მაინცდამაინც, არ ეცალა, არც მაშინ და არც მერე! თავისი „ჭია“ ღრღნისო, ამბობდნენ თომაზე სოფელში!

„...ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში, ჩქვალერში, მდინარე მორროჟას პირას, პატარა, ერთდოლაბიანი საოჯახო წისქვილი იდგა. ხის ღარიდან დაცემული ანკარა მორროჟა ადგაფუნებდა მას კვირაში ერთხელ. თომას არ უკვირდა ეს. მის მეოცნებე თვალებსა და გონებას სხვა, უფრო მეტი სურდა, – როგორ შეიძლება, რომ ამ პატარა ნაკადულმა მეტი ენერგია და ძალა მოიკრიბოს?

... ერთ დღეს თომამ წისქვილის წყალს მიმართულება შეუცვალა და, ბარითა და თოხით შეუდგა საქმეს. მალე ორი მეტრის სიღრმის ორმო გაჩნდა. ერთგან ხის „ჭიშკარი“ გაუკეთა. ამ „ჭიშკარს“ ძირში ღარი მიადგა, შემდეგ მორროჟა ისევ აქეთ გადმოუშვა და, როდესაც ორმო წყლით გაივსო, აღმოჩნდა, რომ ეს „ჭიშკარი“ კამხალი ყოფილა, პატარა ღარი კი, გვირაბი, რომლითაც წნევის ძალით გადმოსული წყალი ყველაზე დიდ ბორბალსაც დაატრიალებდა!

მალე თანასოფლელებს უკვირდათ, – რამხელა ბორბალი დაატრიალაო მორროჟამ!

თომამ მატყლის მექანიკური საჩეჩიც გამოიგონა და ძაფსართავიც, აბრეშუმის პარკის საწმენდიც და ხილსაკეპიც, გამართა სახერხი ქარხანაც, ჩარხებიც, დაზგებიც და ყველაფერი ეს მორროჟას ერთ ციცქნა ტალღებს მოჰყავდა მოძრაობაში.

კოლმეურნეობას ურმის პირველი თვალი თომამ გამოუჩარხა. ყოველდღიურად ათ კაცს ცვლიდა თომას „ქარხანა“. კიდევ მერე, თომამ „რაღაც მექანიკა“ ჩამოიტანა საიდანღაც და რაიონში პირველად, ელექტრონათურა აანთო ჩქვალერში!

დაბოლოს, გაჩნდა „ენგურჰესი“. გამოცდილმა მშენებლებმა ინახულეს თომას „ქარხანა“ და თქვეს:

– ამ მიუვალ სოფელში, წერა-კითხვის უცოდინარმა კაცმა როგორ შექმნაო ასეთი რამე? – მათ ენგურჰესს შეადარეს იგი! – დაგუბებული წყლის წნევით მოძრაობენ ენგურის ტურბინები და ეს, ახალი სიტყვაა ჰიდრომშენებლობაში!...

დაგუბებული წყლის წნევით მოიყვანა ამ ოთხმოცი წლის წინათ ცექუიას ბიჭმა თავისი „ქარხანა“ მოქმედებაში და ის, ჩქვალერელი კაცის ნიჭისა და გონების ძეგლად დღესაც დგას მორროჟას პირას!...“

... მასზე, ჯერ კიდევ ადრე, ვწერდი ჟურნალ „ცისკარში“ და ეს ციტატაც იქიდანაა მოხმობილი, მაგრამ ამჯერად უფრო საოცარ ჩანაფიქრზე უნდა მოგითხროთ.

...ახლა, ერთ სამეცნიერო ექსპედიციას მოაცილებს გენო „ჯიჯი“ ამ მთებში. გენო „ჯიჯი“ ზოოტექნიკოსია პროფესიით, პოეზიის დიდი მოყვარული და ღიმილიანი კაცი, ამიტომაც ეძახიან ახლობლები მას „ჯიჯის“–ბიძას! მასაც აქვე, ბედიანაჩენზე უდგას ორსართულიანი ჯარგვალი და 15-ოდე ფურ-ძროხა ჰყავს.

უჩვეულო მიზნები აქვს ამ ექსპედიციას, – მთებში და მთისწინეებში დაეძებს კრიკინას, გარეულ ვაზს, აქაურები „მწარე საძირეს“ რომ უწოდებენ. მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ვაზის კულტურის სამშობლო, სწორედ, ისაა, მაგრამ ქართველ მეცნიერთა კვლევებს სულ სხვა მიმართულებით მივყავართ, – ვაზის სამშობლო უძველესი კოლხეთ–იბერია უნდა იყოს!

არადა, კრიკინა „სანთლით“ საძებარი გახდა კავკასიის ტყეებში და ამ „სანთლით“ დაეძებს ეს ექსპედიცია მას!

გენო „ჯიჯი“, ცისფერ თვალებს წკურავს და იღიმება.

– ვიცი, ჩვენს ამ მოგზაურობაზე ნარკვევს დაწერთ, მარა გვარს რას უშვრებით, ფიფიები რომ ხართ?

– მერე რა, რომ ფიფიები ვართ?

– თქვენი გმირებიც ფიფიები რომ იქნებიან?...

გადავიხარხარე.

– რა ჩვენი ბრალია, ამ მთებში მხოლოდ ფიფიებს რომ უდგათ ჯარგვალები?... სხვა გვარისანი საიდან მოვიყვანოთ?...

– ო, ყველანი ფიფიები ვართ აქ!... ფიფიების არის ეს ქვეყანა!... – სიცილით იჭაჭება გენო „ჯიჯი“.

– ...სწორედ აქ ვაპირებთ სოფლის აშენებას მე და მიხაკო!...

ჭირკვალი უღრანი ტყის ციცაბოს მიუყვება აღმა.

– გენო ბიძი, დათვი თუ იცის აქ?

– ...მიხაკოს დეკეული დაუგლიჯა, ამას წინათ...

– ვაიმე!...

– არა!... ნუ გეშინია, ორი კვირა ეყოფა მაგი მაგას და მანამდე საშიში არ არის!...

– მერე?...

– მერე, საქმე მიხაკოსთან უნდა „ჩააწყო“!... – მხიარული კაცია გენო „ჯიჯი“.

ბილიკის ყოველ მოსახვევში სკამ-ლურგიმები დგას.

– მიხაკოს ნახელავია ეს!... ამ ქარქამებში სიარულით დაღლილი კაცი წამოწვება და მუხლებს დაასვენებსო, ამბობს!....

– ჩვენც ხომ არ დავასვენოთ მუხლი?...

– არ ღირს!... აგერაა, ერთ კილომეტრში... მანამდე კი, ისეთ რამეს ნახავ გზაში, რომ...

– შენი ერთი კილომეტრი ათი მაინც იქნება, გენო!...

– აბა, რავა გინდა?... მე ტყვიის მანძილს ვამბობ, თორემ... ამ ჭირკვალს ზიგზაგით უნდა აუყვე, სხვანაირად ვერ ახვალ!...

ერთი კილომეტრის თავთან უჩვეულო ნაგებობას წავადექით. იქვე, ხის ღარიდან წყარო მოჩუხჩუხებდა.

– ა, ესაა მიხაკოს „ზავოდი“!... როცა სჭირდება, ამ წყაროს დააგუბებს და ამით მოჰყავს მოძრაობაში!..

გავოცდი! ზუსტად ასეთი „ზავოდი“ მქონდა ნანახი წლების წინათ თომა ფიფიას ეზოკარში, მორროჟას პირას!

– კი, ზუსტად ისეთია!... მიხაკომ ამ სიმაღლეზე ააგო მამამისის „ზავოდის“ მსგავსი „ზავოდი“... ჯერჯერობით წვრილმან სუვენირებს ამზადებს მიხაკო და, ერთობა!... მარა, როდესაც აქ სოფელი აშენდება!...

– კი, მარა, რა ხნისაა მიხაკო, ახლა?

– არც ისე ბევრის... 85-ის!... მეტი არა!

– მერე, ჯანს არ უჩივის ამ ხნის კაცი?... თანაც, ამ მთებში მარტოდმარტო...

– კი, როგორ არ უჩივის?... შარშან ერთი კბილი შეექნა ამოსაღები და... იმას ჩივის ძალიან!... ამ წყაროზე იბანს ტან-ფეხს ზამთარ-ზაფხულ!...

მოულოდნელად „პირი გახსნა“ უღრანმა. თეთრმა ღრუბლებმა ჯადოსნურად მოხატეს ცა. მწვერვალთან ირაოს უვლიდა არწივი. ტყე იყო სუფთა და შრიალა. ახოზე ბაღჩა-ბაღი გაეშენებინა ვიღაცას, და ამ ბაღჩა-ბაღის კარიბჭესთან ჯარგვალი იდგა.

– ეჰეი, მიხაკო!... – შეეხმიანა გენო „ჯიჯი“ მასპინძელს.

– ეჰე, ჰეიი!... – აგუგუნდა პასუხი.

– სტუმრებს შეხვდი, მიხაკო, სტუმრებს!...

– სტუმარი სოფლის სიმდიდრეა და ღმერთმა ნუ მოგვიშალოს!...

სერზე კაცი გადმოდგა, საშუალო სიმაღლის, მაგრამ ბარჯგივით ძლიერი. თეთრი ხიფთანი ეცვა და მრუმე ტყის ფონზე წმინდანს მიაგავდა.



– ე, მაგია მიხაკო!...

მიხაკო დაბლა ჩამოუყვა ფერდობს და ჭიშკარი გააღო ფართოდ.

– შეხედე, ჭიშკრის საკეტიც „მექანიზებული“ აქვს... თავისით იკეტება!... – ყურში წამჩურჩულა გენო „ჯიჯიმ“, სანამ მიხაკო მოგვიახლოვდებოდა.

– ხვალ გელოდებოდით და დღეს გამახარეთ, ბაბა?!... მოულოდნელი სიხარული ნუ მოგაკლოთ ღმერთმა, თქვანი გოლუაფირო!

– ყველის სუნი ამდისო!

– ნუ მოგვაკლოს ყველისა და პურის სურნელება, ბატონო მიხაკო!

– შენ გაიხარე, კარგი სიტყვა მოგსდგამს, თურმე, ბაბა!... სიტყვა ღმერთისგან მოდის, საქმე კი, სიტყვით იწყება და სანამ პურისა და ყველის სურნელება დაიარება სოფელში, ქვეყანა მაგრად დგას!

ჯარგვლის პირველ სართულზეც კიბეები ადიოდა.

– აბა, გენო, წიე! შენც ხარ აქ მასპინძელი, გაუძეხი სტუმრებს და ჯარგვალში აიყვანე!... მეც ახლავე მოვალ!

ნელა და მოწიწებით ავუყევით ასასვლელს.

ზღაპარში გაგონილს ჰგავდა მიხაკოს საბინავარი. პირველი სართულიდან კიდევ მაღლა ადიოდა საფეხურები. კედელზე ეკიდა ათასფერი ხელსაწყო, რომელთა მსგავსი არსად, არასოდეს, რომ არ გვენახა, იმფერი.

– ეს „ხეჭკუდი“ მიხაკოს და მამამისის შექმნილია!... – თქვა გენო “ჯიჯიმ“.

უჩვეულო ფარგლები, ხის სატეხები, შალაშინები, სახვეწები და ათასი რამე!

ცოტა ხანში ქლიავით სავსე კალათა დადგა მაგიდაზე მიხაკომ.

– შენ, ხომ არ გაგიჟდი?... ამ ხნის კაცი ქლიავის საკრეფად ახვედი ხეზე? – შეიცხადა გენო „ჯიჯიმ“.

– აბა, ვინ ჩამომიტანდა დაბლა მაგას?... ნუ გეშინია, მაგარი მუხლები მაქვს!... მიირთვით!... გარეცხვა არ უნდა მაგას, მთებში ყველაფერი სუფთაა, ღვთის მადლით!...

შაქარტკბილად დამდნარი შავი ქლიავი „იწონებდა“ თავს კალათაში.

– კაცს რაც სჭირდება, თითქმის ყველაფერი ხარობს აქ!... ქლიავი და კვახ-გოგრა, კიტრი და პამიდორი, სიმინდი და ლობიო!...

– საქონელს მგელი და დათვი ხომ არ გიწუხებს ბატონო, მიხაკო?

– ყველაფერს თავისი წილი უნდა, ბაბა!... მგელს მგლობას ვინ მოაშლევინებს და დათვს დათვობას?... თვითონ კაცი უნდა იდგეს ფხიზლად!... კაცი არ უნდა გამგელდეს და განადირდეს, თორემ... ისე ამ მთებში საძოვრებს რა გამოლევს?... აქ ისეთი ბალახი იცის, სხვაგან არსად რომ არ არის! ამიტომაა აქაური რძე და ყველი ერბო და ჭაფურია!...

გენო „ჯიჯი“ კოლხეთს გაჰყურებდა.

– ე, ბიჭო, დატრიალდი, გაშალე სუფრა!... რავა სტუმარივით იქცევი?...

ორ წუთში, ნაღდი, მეგრული სულუგუნით, მურძგებში ჩასხმული „საკვეთი“ მაწვნით, კიტრითა და პამიდვრით გაივსო სუფრა.

– ახლა არ დამიწყოთ ქალაქურად!... პური და ღომი ცოტა უნდა მოციცქნოთ, ყველი კი ბევრი!... თანაც, ამისთანა ჭყინტ სულუგუნს ღმერთები მიირთმევენო, ამბობენ!... მალე ელარჯიც მოგვისწრებს!... – “დაგვაიმედა“ გენო „ჯიჯიმ“.

– ჰაი, დედასა!... ჩემი „თოლი“ ხვალ დავიბარე ჩქვალერიდან... ხვალ გელოდებოდით თქვენც და, იმიტომ... დასალევი რომ არა გვაქვს არაფერი, რა ვქნათ, ახლა?

„თოლს“ მეუღლეს ეძახდა მიხაკო. სამეგრელოში მეუღლეები სახელს არ „აკადრებდნენ“ ერთმანეთს, ოდითგან.

– აგერ გვაქვს მთის წყარო!... ამით დავილოცოთ!... დიდებულია!

ნელ-ნელა მივირთმევდით წყაროს წყალს, „ოფლად“ რომ ადგა ჭიქის კედლებს და სადღეგრძელოებს სხვა სიანკარე ახლდა!

– „ოჯალეში“ ვერ გავახარე ამ სიმაღლეზე, მარა... ჩემი ვენახი მაინც მაქვს!... აი, იმ კაკალს შეხედეთ!... ისაა ჩემი ბაბილო! ნაყოფს არ ისხამს, მაგრამ ვესათუთები მაინც! ვაზი ხომ საქართველოა?!...

უზარმაზარ კაკლის ხეს შემობარდვოდა უსურვაზი!

– ამბობენ მიხაკო და გენო ბედიანაჩენზე სოფელს აშენებენო?...

– სოფლის აშენებას სიყვარული, სურვილი და გარჯა უნდა, ბაბა!

უჩვეულოდ ამოიოხრა მიხაკომ.

– სოფელს გაუმარჯოს, ბატონო მიხაკო, თქვენს აშენებულ სოფელს!

– უფალმა გისმინოს, ბაბა!

ჩაფიქრდა. მერე, ნაფიქრალი ამოაგორა გულის ფიცრიდან:

– კაცო, წლების წინათ, ტელევიზიაში გამოდიოდა ერთი კაცი და ამბობდა, პატარა ჰესები უნდა ავაშენოთო სოფლებში... კაი სიტყვას ამბობდა ის კაცი მაშინ!... თუ, ყოველ სოფელს და ოჯახს თავისი ჰესი ექნება, უფრო არ გაძლიერდება ქვეყანა?... მამაჩემმა საიდანღაც ჩამოიტანა „მე-ქანიზმი“ და სოფელი გაანათა! მერე, კოლმეურნეობამ ინწირაზე ააგო მისი მსგავსი და ჩქვალერი ერთ-ერთი პირველი სოფელი იყო რაიონში, რომელსაც ელექტრო ჰქონდა... ახლა მეც მინდა ამოვიტანო აქ ის „მექანიკა“ და ავაბარჩხალო ბედიანაჩენი!... სოფელს მეტი რა უნდა? ბედიანაჩენზე მიწა ყველას ეყოფა, და თუ, გარჯას არ დავიზარებთ... ეგ არის და ეგ!... შვიდი ქალვაჟი მყავს მე. ყველას თავისი ხელობა აქვს, მარა რად გინდა?... ვერ უპოვიათ სამსახური!... მიწას ვყიდით, ტყეს ვყიდით... მიწას და ტყეს გაყიდვა კი არ უნდა, ჩვენ თვითონ მოვიხმაროთ იგი ჯავარიანად! ასე აშენებენ სოფელს?...

– ახლა მზის ენერგიის გამოყენებაზე აწრიალებს, ის კაცი, ქვეყანას, მაგრამ...

– ჰოდა, ასეთ ხალხს უნდა ყურის გდება და არა მიყურისძირება!... სოფელი სხვანაირად არ აშენდება! სოფლის აშენებას სიყვარული უნდა!

ისევ ჩაფიქრდა, თითქოს, რაღაცას იხსენებსო.

– ..იმ წლებში, აქამდეც ამოაღწია ხმამ, საქართველოს პირველ პრეზიდენტს მაზარი დასდევსო ამ უგურყელში!... ინწირას ხეობისთვის შეუფარებია თავი, იმ დალოცვილს!... საკუთარი ხვაშიადისათვის გადარეული თოფიანი კაცები მაზარზე უარესია, ბაბა! უბედურება მოაქვს ამას!... – – აბა, ცხოვრება წინ მიდის და შენ ვინა ხარ, რომ უკან ექაჩები?...

... მეგრული დიდებული მელოდია წამოიწყო გენო „ჯიჯიმ“.

– „ობლად ვეგდე ჩემს ჯარგვალში, სევდა მედგა თავზე რიხად, შემოფრინდნენ მერცხლები და აჟღურტულდნენ გულმარიხად...“.

მღეროდა სიმღერა და, მიხაკო სათნოების ცრემლებით ეფერებოდა ჰანგებს!

**ზაურ ფიფია, ია ფიფია.**
**თბილისი-ჩქვალერი-ბედიანაჩენი-თბილისი.**

ცენტრი და ავტონომია

# დეკლარირებული უფლებები და ფაქტობრივი უუფლებობა,



## უნდა ჰქონდეს თუ არა აჭარას „სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო?“

**სურსათის უვნებლობის სამსახურის „სურსათის ეროვნულ სააგენტოდ“ გარდაქმნის შემდეგ აჭარის მთავრობა „სურსათის უვნებლობის სამსახურის“ საქვეუწყებო დაწესებულების სააგენტოდ გარდაქმნას და შესაბამისი უფლებების მინიჭებას ითხოვს. მას არგუმენტად მოაქვს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-7 მუხლი, სადაც განმარტებულია, რომ სურსათისა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება.**

რეგიონის მთავრობაში აცხადებენ, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, აჭარაში არსებობდეს ადგილობრივი უფლებამოსილი ორგანო, რომელიც სურსათისა და საკვები პროდუქტების ხარისხს გააკონტროლებს.

„ჯი-ეიჩ-ენის“ ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობა და მთავრობა აჭარის სურსათის უვნებლობის სამსახურის ეროვნულ სააგენტოდ გარდაქმნას ეწინააღმდეგება და არგუმენტად ევროკავშირის პოზიცია მოჰყავთ, რომლის დირექტივაცაა ქვეყანაში ცენტრალიზებული მაკონტროლებელი სისტემის ჩამოყალიბება.

საპირისპირო პოზიციაა აჭარის მთავრობაში, სადაც განმარტავენ, რომ აჭარის სურსათის უვნებლობის სამსახურის სააგენტოდ გარდაქმნა და მისთვის შესაბამისი უფლებების დელეგირება ევროკავშირის პოზიციას არანაირად არ ეწინააღმდეგება.

ამ დაპირისპირების ფონზე კი აჭარის მთავრობას და უმაღლეს საბჭოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, სრული უფლება აქვთ შესაბამისი კანონი მიიღონ და რეგიონში სურსათის ეროვნული სააგენტო თავად დააკანონონ.

ექსპერტი ლევან კალანდაძე მიიჩნევს, რომ მთავარია, რამდენად ეფექტური სისტემა შეიქმნება სურსათის ეროვნული სააგენტოს ფუნქციონირებისთვის და რამდენად „სიცოცხლისუნარიანი“ იქნება ეს სისტემა.

**„თავად ცენტრსა და ავტონომიას შორის უფლებამოსილების საკითხის გამიჯვნა, ვფიქრობ, მეორეხარისხოვანია. ამ სისტემის წარმატებით ფუნქციონირება ერთიანი ადმინისტრაციის პირობებშიც შესაძლებელია და სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის დამოუკიდებელი რგოლის არსებობის პირობებშიც. ჩვენი მიზანი ამ ეტაპზე უნდა იყოს ის, რომ სრულფასოვნად განხორციელდეს სურსათის უვნებლობის პოლიტიკა და სრულად იქნეს დაცული სურსათის უვნებლობის ევროპული სტანდარტი“,** — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ კალანდაძემ.

„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ კანონში კი აჭარაში შესაბამისი სამსახურის არსებობა და მისი უფლება-მოვალეობები გათვალისწინებული არ არის. უფრო მეტიც, ხშირია შემთხვევები, როდესაც კანონქვემდებარე აქტებშიც ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამსახური არ მიეთითება, რის გამოც, საჭირო ხდება სხვადასხვა პროცედურების გავლა ცვლილებებისა თუ დამატების შეტანასთან დაკავშირებით, რაც საბოლოო ჯამში ხელს უშლის აჭარაში სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებასა და შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილების განხორციელებას.

როგორც სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა განაცხადა, გარდაიქმნება თუ არა აჭარის სურსათის უვნებლობის სამსახური ეროვნულ სააგენტოდ, ამაზე საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობა მიიღებს.

**„ჯერ უნდა შეფასდეს რისკები სამართლებრივ ასპექტში და პრაქტიკული მიზანშეწყობა და ამის შემდეგ მიიღებს მთავრობა გადაწყვეტილებას“,** — აცხადებს გია ხუროშვილი.

ექსპერტი ირაკლი ლექვინაძე ფიქრობს, რომ ქვეყანაში სურსათის უვნებლობის ერთიანი სამსახური უნდა არსებობდეს და მისი აზრით, აჭარაში ცალკე უწყების არსებობა მიუღებელია.

**„საქართველოში უნდა არსებობდეს სურსათის უვნებლობის ერთიანი სამსახური. მისი ცალკე არსებობა აჭარისთვის მიუღებელია მიუხედავად იმისა, კანონი მას ამის შექმნის შესაძლებლობას აძლევს თუ არა. ქვეყანაში უნდა არსებობდეს კონტროლის ერთიანი სტანდარტები, მის ადმინისტრირებასა და იმპლანტაციას ერთი სამსახური უნდა უზრუნველყოფდეს.**

**პრობლემები, რომელიც აჭარის მთავრობას მოჰყავს ცალკე სამსახურის შექმნის არგუმენტად, საუბარია, თბილისის სამსახურთან სხვადასხვა საკითხების შეთანხმებაზე, რაც დროში ზრდის გადაწყვეტილების მიღების პროცესს, გასათვალისწინებელია, მისი გადაჭრა სხვა გზითაც შეიძლება. კერძოდ, გაეზარდოს ადგილობრივი სამსახურის უფროსს კომპეტენცია და მას ჰქონდეს გარკვეულ საკითხებზე გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა.**

**ამ სამსახურს სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს, პირველ რიგში ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება და ამ კუთხით უნდა გაძლიერდეს მუშაობა. სამსახურის დანაწევრება ამ კუთხით წინგადადგმულ ნაბიჯად ვერ შეფასდება“** — აცხადებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ლექვინაძე.

არსებულ ვითარებას საკანონმდებლო ხარვეზს უკავშირებს ექსპერტი ლევან კალანდაძე. **„ჩვენი კანონმდებლობა დღეს აჭარის ავტონომიას ამგვარი ინსტიტუციის შექმნის უფლებამოსილებას აძლევს და თუ ეს ევროკავშირის საკანონმდებლო ნორმებთან და მოთხოვნებთან ჰარმონიზაციაში არ მოდის, ეს უკვე ჩვენი კანონმდებლობის ხარვეზია და ამ ხარვეზს გასწორება ჭირდება“,** — აცხადებს ლევან კალანდაძე.

აჭარის მთავრობამ ავტონომიურ რესპუბლიკაზე გარკვეული უფლებების დელეგირება უკვე რამდენჯერმე მოითხოვა. 2010 წლის 12 აპრილს აჭარის მთავრობის მეთაურმა აჭარისთვის ადმინისტრაციული უფლებამოსილების დელეგირებასთან დაკავშირებით სპეციალურ გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა. ვარშალომიძემ განაცხადა, რომ რეგიონისთვის ცალკეული ადმინისტრაციული უფლებების გამიჯვნა რამდენიმე პრობლემას ერთდროულად მოაგვარებდა.

**„ეს გაამარტივებს მომსახურებას და შექმნის საფუძველს უფრო ეფექტური გადაწყვეტილებები მიიღონ ადგილზე“,** — განაცხადა მან.

კონკრეტულად საქმე ეხებოდა აჭარის საჯარო სკოლების დირექტორების დანიშვნას, ასევე ფერმერებისთვის საჭირო სერტიფიკატების გაცემას და სხვა ტექნიკური ხასიათის საკითხებს, რომელთა შესახებაც გადაწყვეტილებას რეგიონის მინისტრთა კაბინეტი ვერ იღებდა.

**„ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ჩვენ უფრო მეტ ავტონომიას კი არ მოვითხოვთ, არამედ ჩვენ მოვითხოვთ გვქონდეს უფრო მეტი საშუალება. უკეთ განვახორციელოთ ჩვენი ავტონომიური უფლებები“,** — განაცხადა ლევან ვარშალომიძემ.

მოგვიანებით ვარშალომიძის პასუხად ბრიფინგი დაინიშნა სახელმწიფო კანცელარიაში, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მთავრობა მზად იყო აჭარის მთავრობის მეთაურის „პრეტენზიები“ მოესმინა და განეხილა კიდეც. იმავე კვირაში შეხვედრა მართლაც შედგა, რომელზედაც ყველა ის პრობლემატური საკითხის გადაჭრა მოხერხდა, რომელიც რეგიონთან დაკავშირებით არსებობდა.

**„შეხვედრაზე ვისაუბრეთ პრობლემატურ საკითხებზე. გადაწყდა, რომ აჭარის მოსახლეობასა და მეწარმეებს გარკვეული დოკუმენტაციისთვის თბილისში ჩამოსვლა არ მოუწევთ. კონკრეტული საკითხები არსებობდა სერტიფიცირებასთან დაკავშირებით, მაგალითად იმისთვის, რომ ადგილობრივმა მეწარმემ გაიტანოს მანდარინი, აიღოს ნებართვა მეურნეობის წარმოებაზე, ნებართვა თბილისიდან იყო საჭირო. შეხვედრები იქნება მუდმივი“,** — განაცხადა ვარშალომიძემ.

საქართველოს მთავრობაში გავლენიანმა ლევან ვარშალომიძემ ლადო გურგენიძის პრემიერობისას მთავრობისგან აჭარისთვის 5 მლნ. ლარის „იაფი კრედიტის“ გამოყოფა მოითხოვა, რამაც მაშინ ფინანსთა მინისტრის ნიკა გილაურის უკმაყოფილება გამოიწვია და რასაც აჭარის მთავრობის მეთაურსა და ნიკა გილაურს შორის სიტყვიერი შელაპარაკებაც მოჰყვა, თუმცა საბოლოოდ გამარჯვებული მაინც ლევან ვარშალომიძე გამოვიდა, რომელმაც თავისი პრინციპულობით რეგიონისთვის 5 მლნ. ლარის მიღება მოახერხა.

**მაია არაბიძე,**
**„ჯი-ეიჩ-ენი“**

ჯანმრთელობა

# გულითადი მეგობარი — Q-10

**წლებთან ერთად გული სულ უფრო ხშირად გვახსენებს თავს. რა არის ეს: ასაკის გარდაუვალი ნიშანი, თუ „თხოვნა“ ყურადღების შესახებ? მოდით, გავერკვეთ ამაში.**

### რატომ იღლება გული?

**გული მუშაობს ყოველთვის: როდესაც ვფხიზლობთ და როდესაც გვძინავს. ამიტომ მას მუდმივად სჭირდება ენერგია. როგორც ცნობილია, მისი ერთადერთი წყარო — საკვებია. ჩვენი ორგანიზმი კი — ურთულესი ბიოლოგიური ძრავაა, რომელიც ამ „საწვავის“ ენერგიას გარდაქმნის მოძრაობის ენერგიად.**

მაშ რატომაა ამ შემთხვევაში, რომ ასაკთან ერთად ჩვენ უფრო ხშირად ვიღლებით? საქმე ის არის, რომ ენერგიის მისაღებად საკვებიდან აუცილებელია კოენზიმი Q-10, რომელსაც გამოიმუშავებს ჩვენი ორგანიზმი. მაგრამ თანდათანობით Q-10-ის წარმოება მცირდება. და უკვე ორმოცი წლისთვის ადამიანების უდიდეს უმრავლესობას მისი სინთეზირება უმცირდება 25 პროცენტით, ვიდრე 20 წლის ასაკში. და გამოდის, რომ ჩვენ ვჭამთ იმდენსვე, ენერგიას კი გამოვიმუშავებთ ცოტას. რას იზამ, ბუნებამ არ გაითვალისწინა მუდმივი სიფხიზლე.

### როგორ დავეხმაროთ გულს?

**ენერგიის უკმარისობა უწინარეს ყოვლისა აისახება გულზე. შეიძლება მას დავეხმაროთ? რასაკვირველია! უბრალოდ საჭიროა ჩვენს რაციონს დავუმატოთ Q-10, როგორც ვიტამინები. Q-10-ის რეგულარული მიღება ამცირებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა რისკს, აჩქარებს აღდგენას, აგრეთვე აიოლებს ქრონიკულ დაავადებათა მიმდინარეობას.** ამიტომ მთელს მსოფლიოში მილიონობით ადამიანი, რომლებსაც აწუხებთ გულის დაავადებანი, ღებულობს Q-10. მაგრამ არც ჯანსაღ გულს აწყენდა კოენზინ Q-10-ის დამატებითი „ულუფა“.

### კუდესანი — Q-10-ის თანამედროვე წყარო

**ამჟამად შეიძლება ნახო ბევრი პრეპარატი კოენზინ Q-10-ის საფუძველზე. მთავარია გვახსოვდეს, რომ Q-10 თავისი „ბუნებრივი“ სახით ცხიმის დამშლელი ნივთიერებაა, ამიტომ მას ძნელად ვითვისებთ.** ეს პრობლემა გადაჭრეს რუსეთის მეცნიერებმა. მათ დაამუშავეს და დააპატენტეს მიკროკაფსულირების ტექნოლოგია, რაც საშუალებას იძლევა, Q-10 გადავიყვანოთ ათვისებისთვის უფრო ხელმისაწვდომ წყალში გახსნად ფორმაში. მის საფუძველზე უშვებენ კუდესანს, რომელმაც ფართო პოპულარობა მოიპოვა. მარტო რუსეთში დღეს 10-დან 9 გაყიდული კოენზინ Q-10-ის პრეპარატი — ეს არის კუდესანი. კუდესანი დაგეხმარებათ, მოიხსნათ დაღლილობა და დაეხმარება თქვენს გულსაც.

### კოენზინ Q-10-ის ისტორია

**1955-57 წლები. კოენზინ Q-10-ის აღმოჩენა და მისი ქიმიური სტრუქტურის დადგენა.**

**1978 წელი. Q-10 ბიოლოგიური როლის აღწერისთვის მიენიჭათ ნობელის პრემია.**

**1990 წელი. კოენზინი Q-10 გახდა ყველაზე გასაყიდი პროდუქტი ჯანსაღი კვების მაღაზიებში მთელს მსოფლიოში.**

**2003 წელი. რუსეთის მეცნიერებმა დააპატენტეს კოენზინ Q-10-ის მაღალათვისებადი ფორმის მიღება. პრეპარატმა მიიღო კუდესანის სახელწოდება.**

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

- 1813 წლის 7 აგვისტოს სიმონ ბოლივარის განმათავისუფლებელმა არმიამ ქალაქი კარაკასი აიღო და ვენესუელის რესპუბლიკა დააარსა.
- ძვ.წ. 480 წელს გაიმართა თერმოპილეს ბრძოლა, სადაც 300 სპარტელი გმირულად შეებრძოლა სპარსელთა ურიცხვ ჯარს.
- 1500 წელს პორტუგალიელმა ზღვაოსანმა დოიგუ დიაშმა კუნძული მადაგასკარი აღმოაჩინა.
- ლუი დე ფიუნესი მეორე მსოფლიო ომის დროს სასურსათო მაღაზიაში დამფასოებლად მუშაობდა: კარაქს 150-გრამიან ნაჭრებად ფუთავდა, ხორბალს წონიდა და მეუღლისთვის ორი ნატეხი შაქრის მოპარვას თუ მოახერხებდა, იმ დღეს უბედნიერეს ადამიანად მიაჩნდა თავი.
- 1999 წლის 6 ივნისს, როდესაც რუსეთის საფეხბურთო ნაკრებმა საფრანგეთის ნაკრები დაამარცხა, ერთმა რუსულმა გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ჩვენ შური ვიძიეთ ფრანგებზე“. სტატიის ავტორი იმას გულისხმობდა, რომ სწორედ იმ დღეს შესრულდა პუშკინის დაბადებიდან 200 წელი.
- სარტრს, მარატსა და ბელმონდოს ერთი სახელი — ჟან-პოლი ჰქვიათ.
- 1940 წელს მექსიკაში რევოლუციონერი ლევ ტროცკი ყინულის სამტვრევით გამოასალმა სიცოცხლეს რამონ მერკადერმა, რისთვისაც სტალინმა მკვლელს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა.
- საფრანგეთის უკანასკნელმა მეფემ, ლუდოვიკო XVI-მ, სიცოცხლე გილიოტინაზე დაასრულა.
- ძვ.წ. 335 წელს ათენში ჩასულმა არისტოტელემ ალექსანდრე მაკედონელის მხარდაჭერით აპოლონ ლიკეელის ტაძრის მახლობლად გახსნა სასწავლებელი — ეს იყო ლიცეუმი (ძვ.ბერძნ. ლიკეიონი, ლათ. ლიცეი).
- ტომას ტორკვემადა, რომელიც 1420 წელს დაიბადა, სკოლაში სანიმუშო წესიერებით და კეთილსინდისიერებით გამოირჩეოდა, მოგვიანებით კი ესპანეთის ამ პირველი დიდი ინკვიზიტორის ბრძანებით ათასობით კაცი სიკვდილით დასაჯეს.

**შეკრიბა ტიტე კოპალეიშვილმა**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუს „ჯაშუშთან“ კონსული შეუშვეს

**საქართველოს მხარემ ნება მისცა რუსეთის კონსულს, შეხვედროდა საჯაშუშო სკანდალის ერთ-ერთ ფიგურანტს. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ**

უფრო ადრე რუსეთის მხარემ მოსთხოვა საქართველოს, მიაწოდოს ინფორმაცია დაკავებულთა შესახებ, რათა დააზუსტოს მათი პიროვნება და მოქალაქეობა. ქვეყნებს შორის დიალოგი ხორციელდება შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით, რომელიც გამოდის, როგორც შუამავალი ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობის უქონელ მოსკოვსა და თბილისს შორის.

„საპასუხო ნოტა, ბუნებრივია, გაეგზავნა კომპეტენტურ ორგანოებს (საქართველოს სამართალდაცვის ორგანოებსძ, შესაბამისად, ინფორმაცია ამ მოქალაქეების შესახებ და საიდენტიფიკაციო თარიღები, დაუყოვნებლივ გადავეცით შვეიცარიის საელჩოს, და დარწმუნებული ვართ მათ გადასცეს ყოველივე ეს რუსეთის მხარეს“, – თქვა კალანდაძემ.

მან აღნიშნა, რომ ჯერჯერობით კონსული შეხვდა მხოლოდ ერთ-ერთ სავარაუდო ჯაშუშს, მაგრამ, როგორც კი რუსეთის მხარე მოინდომებს დაელაპარაკოს სხვა დაკავებულებსაც, ეს უზრუნველყოფილი იქნება.



ამავე დროს კალანდაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოლაპარაკება რუსეთსა და საქართველოს შორის ჯაშუშობის საქმესთან დაკავშირებით არ მიმდინარეობს და რუსეთის მხარეს ამასთან დაკავშირებით არც მოუმართავს ჩვენთვის. „ამ ეტაპზე ჩვენს მხარეს არც აინტერესებს მოლაპარაკების გამართვა ამ საკითხზე, ვინაიდან ჩვენ ველოდებით სასამართლო პროცესს“, – თქვა მან.

შეგახსენებთ, რომ 5 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა ოპერაცია „ენვერის“ დამთავრების შესახებ, რომლის დროსაც ოქტომბერში დააკავეს 15 კაცი, ვინც ეჭვმიტანილი იყო რუსეთის ფედერაციის მთავარ სადაზვერვო სამმართველოსთან კავშირში. ორი მათგანი გაათავისუფლეს საპროცესო გარიგების დადების შემდეგ. საქმის ფიგურანტებს შორის, თბილისის მტკიცებით, არის რუსეთის ოთხი მოქალაქე. ესენი არიან არმენ გევორქიანი, რუბენ შიკოიანი, პეტრე დევრიშაძე და იური სკრიპნიკოვი.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში მომხდარს ფარსი და პროვოკაცია უწოდეს. „სააკაშვილის რეჟიმი ავადაა ქრონიკული ჯაშუშომანიით რუსულ ნიადაგზე. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ხელმძღვანელობას არაერთგზის მოუხდენია ამგვარი სკანდალების ფაბრიკაცია, რითაც ცინიკურად ცდილობს მიიღოს შინაპოლიტიკური ან საგარეოპოლიტიკური დივიდენდები“, – ნათქვამია რუსეთის საგარეოპოლიტიკური უწყების ოფიციალურ კომენტარში.

მოგვიანებით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტი ოქტომბრის ოპერაციის შემდეგ ოპერაციას არ წყვეტს, ვინაიდან ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებს კიდევ რამდენიმე რუსული საჯაშუშო ქსელი.

Утро.ru

# საქართველო კოდექსის გარშემო ერთიანდება

**ხელისუფლება და ოპოზიციის დიდი ნაწილი შეთანხმდნენ, ბოლოს და ბოლოს, ერთად იმუშაონ ახალ საარჩევნო კოდექსზე, თანაც ინიციატივა ეკუთვნის ქვეყნის ხელმძღვანელობის ოპონენტებს. სხვათა შორის, თბილისში აღმოჩნდნენ პოლიტიკოსები, რომლებმაც ამ წამოწყებას „ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში დემოკრატიის იმიტაციის“ წამოწყება უწოდეს**

საქართველოს პარლამენტის შენობაში დიდი ხანია არ შეუნიშნავთ ასეთი პოლიტიკური სხვადასხვაგვაროვანი „სუარე“ – აქ, საკანონმდებლო ორგანოს სპიკერთან დავით ბაქრაძესთან შესახვედრად მოვიდნენ საქართველოში ცნობილი თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერები.

ამ დროს რვა პარტია არასაპარლამენტო ოპოზიციიდან ცარიელი ხელებით როდი მოსულა, მათ აქვთ წინადადებანი ახალ კოდექსთან დაკავშირებით. სულ, წინასწარი ინფორმაციით, მასზე მუშაობის სურვილი გამოთქვა თხუთმეტმა პარტიამ. აღვნიშნავთ, რომ მსურველთა შორის არიან ისინიც, ვინც საჯაროდ უარი თქვა სადეპუტატო მანდატებზე უკანასკნელი არჩევნების დროს.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ ბაქრაძემაც და მისმა სტუმრებმაც გამოთქვეს თავშეკავებული ოპტიმიზმი. სპიკერმა გაამჟღავნა იმედი იმისა, რომ უკვე რამდენიმე თვის შემდეგ ქვეყანა მიიღებს „გაუმჯობესებულ საარჩევნო გარემოს“ და საბოლოო ჯამში, „ხარისხობრივად განახლებულ კოდექსს“. სხვათა შორის, განაცხადა მან, პროცესი იოლი როდი იქნება, ვინაიდან „ჩვენ ვიმყოფებით მეტად ფაქიზი და ხანგრძლივი პოლიტიკური კომპრომისების ძიების გზის დასაწყისში“.

ოპოზიციური პარტიის „თავისუფალი დემოკრატები“ ლიდერი ირაკლი ალასანიაც არ მოჩანდა გაწბილებულად. მისი სიტყვებით, შეხვედრის ყველა მონაწილემ გამოიჩინა კონსტრუქტივიზმი და სურვილი, კომპრომისის საფუძველზე მიაღწიონ შეთანხმებას ახალ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით.

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ კი განმარტა, რომ ხელისუფლების შეცვლა საქართველოში უნდა მოხდეს მხოლოდ დემოკრატიული არჩევნების გზით, ამიტომ მისი პოლიტიკური პარტია ჩაერთო კოდექსზე მუშაობაში. „არსებული რეჟიმის შეცვლა ძალოვანი მეთოდებით ჩვენი პარტიისთვის მიუღებელია. ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისიდან ერთადერთი გამოსავალი არის დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები“, – განაცხადა პოლიტიკოსმა.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შეაქო ხელისუფლებაც და ოპოზიციაც



გადაწყვეტილებისთვის – ერთად იმუშაონ კოდექსზე. „ეს მეტად მნიშვნელოვანი პროცესია. როგორც იქნა, ვისწავლეთ ვილაპარაკოთ ერთმანეთთან ყვირილის, ულტიმატუმებისა და ისტერიკების გარეშე“, – განაცხადა მან.

„ჩვენ, – განაგრძო საქართველოს პრეზიდენტმა, – ერთი ქვეყნის შვილები ვართ და უნდა ვისწავლოთ ცივილიზებული საუბარი ერთ მაგიდასთან“. მისი აზრით, ხელისუფლება და ოპოზიცია შეძლებენ მოილაპარაკონ კოდექსის ძირითად მიმართულებებზე. თავად პრეზიდენტი კი გამოდის იმ იდეის წინააღმდეგ, რომ პარლამენტში კენჭისყრა უნდა მოხდეს მხოლოდ პარტიული სიებით. „ამას ვერასოდეს დავეთანხმები, უმალვე გეტყვით“, – გააფრთხილა მან ყველა.

მისი სიტყვებით, კენჭისყრას მხოლოდ პარტიული სიებით მხარს უჭერენ „ვირტუალური პოლიტიკური პარტიები“, იმ დროს, როდესაც საკანონმდებლო ორგანოში აუცილებელია კონკრეტული რეგიონების წარმომადგენლების, ესე იგი, მაჟორიტარების ყოფნაც.

საარჩევნო რეფორმის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 17 ნოემბერს. გარდა 15 პოლიტიკური პარტიისა მასში მონაწილეობას მიიღებენ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ბაქრაძემ უკვე მიიწვია NDI, IRI და UNDP-ის წარმომადგენლები კოდექსზე მუშაობაში მონაწილეობისთვის. „ეს ორგანიზაციები, – განმარტა მან, – არა მხოლოდ მიიღებენ მონაწილეობას საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფაში, არამედ დაგვეხმარებიან ჩვენც, ჩავრთოთ პროცესში საერთაშორისო ექსპერტებიც“.

ამჟამად ქართველი ექსპერტები აქტიურად განიხილავენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებს, ზოგი მათ მიიჩნევს საქართველოში პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების დასაწყისად და ახალ ნაბიჯად დემოკრატიის მიმართულებით. სხვები მიიჩნევენ, რომ კოდექსზე ერთობლივი მუშაობით არაფერი გამოვა და ხელისუფლება მაინც უგულებელყოფს წინადადებებს, რომელთა „გატანაშიც“ ოპოზიცია მეტად დაინტერესებულია.

ამას გარდა, ჯერჯერობით უცნობია, თუ რა პრინციპით მოხდება ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება. და საერთოდ, საბოლოოდ საარჩევნო კოდექსი უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა, სადაც უმრავლესობას წარმოადგენენ დეპუტატები მმართველი პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ასე რომ, შენი ხელი – ეს მმართველი ხელია.

ზოგიერთი მეთვალყურე ასევე მიიჩნევს, რომ უთანხმოებანი ოპოზიციაში ერთობლივი მუშაობის ნიადაგზე აუცილებლად დაიწყება, ვინაიდან ეს საერთოდ ტრადიციულია საქართველოს ხელისუფლების ოპონენტთა გარემოში. ესე იგი, თუ ერთ ოპოზიციურ ძალას არ მოეწონება ხელისუფლების წინადადება, რომელსაც ამ დროს მხარს დაუჭერს სხვა ოპოზიციური ფრთა, იგი უსათუოდ დასდებენ ბრალს მინიმუმ, როგორც ფსევდოოპოზიციონერობაში.

ხელისუფლებისა და ოპოზიციის ერთობლივი მუშაობის წარმატებისა არ სჯერა ექსპრემიერ ზურაბ ნოღაიდელის პარტიასაც „სამართლიანი საქართველო“. მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა პეტრე მამრაძემ მოუწოდა ოპოზიციას, არ ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან საარჩევნო კოდექსის სარბიელზე. მისი სიტყვებით, „წარმატებული ცვლილებანი ქვეყანაში შესაძლებელია მხოლოდ სააკაშვილის ავტორიტარული და კორუმპირებული რეჟიმის შეცვლით“.

მამრაძე დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება, უბრალოდ, ატყუებს ოპოზიციას, და მისი ამოცანაა „დემოკრატიზაციის პროცესის იმიტაცია გაუთავებელი დიალოგებისა და მოლაპარაკების დახმარებით“.

რაც უნდა იყოს, ჯერჯერობით კი სიტუაცია საქართველოს საშინაოპოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის კეთილსაიმედოა, და შემოდგომა-ზამთრის სეზონი, ზოგიერთი რადიკალური ოპოზიციონერის დაშინების მიუხედავად, ცხელი არ იქნება.

თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც უგულებელყვეს კოდექსზე ხელისუფლებასთან ერთობლივი მუშაობა, არ შეეცდებიან მოაწყონ მიტინგები ქუჩებში ნებისმიერ ნიადაგზე და უიმისოდაც. თუმცა, როგორც უკანასკნელი წელიწადნახევრის პრაქტიკიდან მოსჩანს, ხალხის გამოყვანა ქუჩებში რადიკალური ოპოზიციისთვის სულ უფრო და უფრო რთული ხდება.

РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე



**ჩინელმა შემდუღებლებმა ცათამბჯენში 53 კაცი ცოცხლად დაწვეს. დაპატიმრებულია 4 კაცი**

ხანძრის მსხვერპლთა რიცხვი, რომელიც 14 ნოემბერს მოხდა, კვლავ იზრდება. დაახლოებით 90 კაცია დაჭრილი, 70-ზე მეტი საავადმყოფოშია. ხანძრის დროს მაღლივი შენობის ფასადზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. ცეცხლი სწრაფად გავრცელდა ბინებზეც, გადაუკეტა მათ გამოსასვლელები. ბევრი მათგანი ფანჯრებიდან ხტებოდა.

* * *

**ნეანდერტალელები უფრო სწრაფად იზრდებოდნენ, ვიდრე დღევანდელი ადამიანები**



ზრდის უფრო ხანგრძლივი პერიოდი, როგორც ჩანს, საშუალებას აძლევდა ბავშვებს, ესწავლათ და მიეღოთ დიდი გამოცდილება, რაც შეეხებოდა აგრეთვე აზროვნებითს საქმიანობასაც. ამან, შეიძლება, საშუალება მისცა ადამიანს განევითარებინა ინტელექტუალური უნარი, რამაც უზრუნველყო პლანეტაზე დომინირება.

* * *

**ისრაელმა ციხეებიდან 45 პალესტინელი ბოევიკი გაათავისუფლა**



გათავისუფლების წინ, რაც დაამთხვიეს მუსლიმანთა დღესასწაულს იდ ალ-ადხას, ყველა მათგანმა ხელი მოაწერა ვალდებულებას, უარი თქვას მტრულ მოქმედებებზე ისრაელთან დაკავშირებით.

* * *

**„ამერიქენ აირლაისის“ თვითმფრინავი იძულებული გახდა მადრიდში მიწაზე დაშვებულიყო: ერთ-ერთი მგზავრი ქალი თავს დაესხა სტიუარდესას**




ხომალდის მეთაურმა მიიღო გადაწყვეტილება გადმოესვა დებოშირი მას შემდეგ, რაც იგი თავს დაესხა მუშტებით მის ხელქვეითს. ლაინერი მიდიოდა მარშრუტით ბარსელონა-ნიუიორკი.

* * *

**„ფორბესმა“ ისაუბრა მილიარდერების ჰობზე: მათ უყვართ ხოჭოების შეგროვება, საათების რემონტი და უგზოობაში მგზავრობა**

საფეხბურთო კლუბის მფლობელი, მაგნატი ჯეიმს აირსი გატაცებულია გიტარების კოლექციონირებით. „მენავთობე“ გორდონ გეტი წერს ოპერებს. იახტების გარდა ამერიკელი მილიარდერები აგრეთვე აგროვებენ ბიბლიებს და სხვადასხვა ნივთებს.

ახლახან გამოიცა

# ვის არ ეშინია უკან მოხედვის

**ჰაი, ჰაი, რომ ბევრს არ შეუძლია განვლილი ცხოვრების გზა შეაჯამოს და სიამაყით განაცხადოს: „უკან მოხედვის არ მეშინია“.**

ჩვენი ძვირფასი **ვაჟა აზარაშვილი** ის კაცია, ის შემოქმედია, ის საზოგადო მოღვაწეა, რომელსაც, სწორედაც რომ, შეეძლო ეს ფრაზა ეთქვა, მეტიც: ახლახან გამოცემული სოლიდური წიგნის სათაურად გამოეტანა: **„უკან მოხედვის არ მეშინია“.**

წიგნში წარმოდგენილია ძირითადი ნაწილი იმ პუბლიკაციებისა, რომლებიც ამ სახელმოხვეჭილ კომპოზიტორს, საქართველოს სახალხო არტისტს, კონსერვატორიის პროფესორს ეძღვნება XX საუკუნის სამოციანი წლებიდან დღემდე. ამ პუბლიკაციათა ავტორები – ბატონი ვაჟას კოლეგები, მეგობრები, მუსიკათმცოდნეები, ჟურნალისტები დიდი სითბოთი მოგვითხრობენ ქართველი ხალხის საყვარელი კომპოზიტორის, გამორჩეული მელოდისტის, ძალზე კოლორიტული, მომხიბვლელი პიროვნების განვლილი ცხოვრების გზის შესახებ, აქვე წარმოდგენილია უხვი ფოტომასალა, რომელიც კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის ვაჟა აზარაშვილის პორტრეტს.




წიგნი ცნობილ ჟურნალისტსა და ფოტოხელოვანს, ბატონი ვაჟას მეგობარს **დემიკო ლოლაძეს** შეუდგენია, რომელიც შესავალში წერს: **„გული მწყდებოდა, რომ საყოველთაოდ ცნობილ ხელოვანზე არ გამოცემულა წიგნი და რამდენჯერმე ამის შესახებ ვუთხარი კიდეც. ვაჟა ყოველთვის ღიმილით მპასუხობდა, – „ალბათ გაკეთდება“, თუმცა ვხედავდი, რომ საქმე ადგილიდან არ იძროდა...**

**ვიცოდი რა მისი უმდიდრესი არქივის შესახებ, 2009 წლის მაისში კატეგორიულად დავუსვი საკითხი და დახმარება შევთავაზე, რათა წიგნი სწორედ იმ სახით გამოსულიყო, რომელიც თქვენს წინაშეა და თუ მოგეწონებათ, ბედნიერად ჩავთვლი თავს“.**

კარგია, ჩემო დემიკო, შესანიშნავია, ისეთია, ბატონი ვაჟას პიროვნებას რომ ეკადრება. ამ უნიკალურ კრებულში, რომელიც თბილისის მერიის, მრავალი კომპანიისა და კერძო პირის ხელშეწყობით გამოსულა (გამომცემლობა „მწიგნობარი“, რედაქტორი – გულბათ ტორაძე, მაკეტი და მხატვრული გაფორმება გიორგი ავსაჯანაშვილისა, კომპიუტერული უზრუნველყოფა ნინო ღვინერიასი და ზაზა გულაშვილის) მკითხველის წინაშე მთელი სისრულით წარმოდგება თანამედროვე ქართული მუსიკალური ხელოვნების ჭეშმარიტი დიდოსტატი.

წიგნს დართული აქვს კომპაქტ-დისკი, რომელზეც ჩაწერილია ვაჟა აზარაშვილის ოცდაათიოდე, მუსიკის მოყვართულთათვის ცნობილზე-ცნობილი, საყვარელზე-საყვარელი კლასიკური თუ საესტრადო მუსიკის ნიმუშები, შთაგონების ნაყოფი კაცისა, რომელსაც უკან მოხედვის არ ეშინია...

# და ისევ ამოცისკრდა „ცისკარი“

**ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც მრავალი, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდის უსაყვარლესი ჟურნალი „ცისკარი“ რეგულარულად, ყოველთვიურად გამოდიოდა და არც ხელმომწერი და მკითხველი აკლდა.**

ნუ მოვყვებით ახლა რა მოხდა, როგორ მოხდა, რატომ აგვიანებს გამოსვლას „ცისკარი“, რატომ გვახსენებს თავს ჟამიდან ჟამზე, და ისიც კეთილი ადამიანების ხელშეწყობით... ფაქტია, რომ უდიდესი ტრადიციების გამოცემა, დღეს, შეიძლება ითქვას, ხელგაშვერილია და ეროვნული გრძნობით დამუხტულ ფულიან ხალხს შემწეობას სთხოვს.




ამჯერად ბიზნესმენ **სერგი კაკალაშვილისთვის** უთხოვია დახმარება „ცისკრის“ შემოქმედებით კოლექტივს, სერგისაც – სხვათა შორის, ნიჭიერ პოეტსა და მამულიშვილს – დაუფინანსებია ჩვენი საყვარელი ჟურნალი და, აი, მისი მეათე ნომერი, ყდაგაკრიალებული, ლამინირებული, სრულიად ახალ ელფერში და დიზაინში გაკოხტავებული (მხატვარი – გოგი წერეთელი) გამოვიდა და, რაც მთავარია, შინაარსით მიიპყრო ჩვენი ყურადღება. აბა, რეზო ჭეიშვილი და ნოდარ წულეისკირი, ბესიკ ხარანაული და ჯარჯი ფხოველიო, გივი ალხაზიშვილი და ზვიად კვარაცხელიაო... ერთიმეორეზე უკეთეს ლექსსა და პროზას გვთავაზობს „ცისკარი“, აქეთ თარგმანები დავით წერედიანისა, ანდრო ბუაჩიძისა, წერილები ჭაბუა ამირეჯიბისა, თამაზ ვასაძისა და ასე შემდეგ...

კი, მაგრამ, რაც ასე ძალიან მაინტერესებს, გამოვა რეგულარულად ესოდენ საყვარელი ჟურნალი?

ძნელი სათქმელია, თუმცა „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი **ზაურ კალანდია** იმედს არ ჰკარგავს, რომ ბიზნესმენის, პოეტის, მამულიშვილის სერგი კაკალაშვილის განწყობა ისეთია (ის აწერია ყდაზე ჟურნალის დირექტორად და გამომცემლად), მთელი საქართველოს ლიტერატურულ საზოგადოებას რომ ესიამოვნება.

მაშ, ჯვარი ეწეროს ასეთ განწყობას!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ჯილდო

# „თქვენი შედეგები გაეროს ყურადღებას იმსახურებს“...

**ახლახან წყალთა მეურნეობის ინსტიტუტს (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილი წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი) გადაეცა ერთობ საპატიო ჯილდო – ამერიკის (აშშ) ბიოგრაფიის ინსტიტუტის (ABI) 2010 წლის ოქროს მედალი.**




უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი ჯილდოს დასამსახურებლად ამ მაღალავტორიტეტულ ABI-ში უნდა გაიგზავნოს წარჩინების ნიშანზე პრეტენდენტი ორგანიზაციის ისტორიისა და საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს მსოფლიო დონის, ანუ საერთაშორისო მიღწევები და შესაბამისი აღიარება, რაც ინსტიტუტმა კაი ხანია მოიპოვა. ამაში, აქვე სათქმელად, დიდი წვლილი მიუძღვის მის მრავალწლიან დირექტორს, დარგის გამორჩენილ სპეციალისტს, აწ განსვენებულ აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას, რომლის სახელსაც დამსახურებულად ატარებს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი.

სწორედ ამგვარი ღირსშესანიშნავი მოვლენა – ოქროს მედლით დაჯილდოება იქცა ინსტიტუტის აწინდელ ხელმძღვანელთან, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ გივი გავარდაშვილთან ჩვენი შეხვედრის საბაბად.



ბატონმა გივიმ სახელოვნად გადააბიჯა ნახევარსაუკუნოვან მიჯნას. ის გახლავთ სამამულო და საზღვარგარეთულ ჟურნალებში 125-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე გამოსული 3 მონოგრაფიის, 4 მეთოდური მითითების, 2 დამხმარე სახელმძღვანელოს, 22 გამოგონების (იმათგან 10 უცხოეთში დაპატენტებულისძ ავტორი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი და ფაზისის საერო აკადემიის თანაპრეზიდენტი.

**– ბატონო გივი, მე როგორც ვიცი, თქვენი ინსტიტუტი მკვიდრად არის გასული საერთაშორისო ორბიტაზე...**

– მართო ის რად ღირს, რომ გაეროს ეგიდით თბილისში სამი საერთაშორისო კონფერენცია თუ სიმპოზიუმი გვაქვს გამართული: 1969 წელს – „წყალმოვარდნების პრობლემები“, 1995-ში – „ადამიანი და ზღვა“ („მოხუცი და ზღვა“ ჰემინგუეისა ხომ არ გაგახსენდათ, პატივცემულო მკითხველო? – **თ. ე.**ძ, 2009-ში „წყალდიდობები და მათთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები“ – ეს მესამე მიეძღვნა ინსტიტუტის 80 წლისთავს.

შარშანდელი ფორუმის ჩასატარებლად კონტრაქტი გავაფორმეთ იუნესკოს „საერთაშორისო ჰიდროლოგიური პროგრამის“ ხელმძღვანელთან, პროფესორ ზიგფრიდ დემუჩთან, იუნესკოდან დაგვაფინანსეს კიდევაც. გამოვეცით სიმპოზიუმის 353-გვერდიანი შრომათა კრებული, სამეცნიერო ანგარიშისა და დადგენილებასთან ერთად გავაგზავნეთ პარიზში, იუნესკოს შტაბბინაში; იქიდან მილოცვის წერილიც მივიღეთ: „აღფრთოვანებული ვართ ფორუმის მაღალი მეცნიერული დონით. დადგენილებაში მოყვანილი შედეგები იმსახურებს გაეროს წევრი ქვეყნების მთავრობათა სახელმძღვანელოდ მიწოდებას იმ დოკუმენტში, რომელიც გაეროს მიერაა რეკომენდებული წყალდიდობასთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდების დასაუფლებლად“.

**– ყველაფრიდან ჩანს, რომ თქვენმა 2009 წლის სექტემბრის სიმპოზიუმმა ფართო საერთაშორისო წარმომადგენლობით ჩაიარა...**

– მსოფლიოს 20-მდე ქვეყნის (რუსეთი, აშშ, ჩინეთი, უკრაინა, ბელორუსი, ისრაელი, შვეიცარია, ირანი, თურქეთი და სხვაძ მეცნიერი სპეციალისტები მონაწილეობდნენ ბუნებრივი კატასტროფების ამ №1 სტიქიასთან – წყალდიდობასთან შეჭიდების განხილვაში.

**– ჩემთვის ისიც აშკარაა, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, დაუვიწყარი ბატონი ცოტნეს შემდეგ, საიმედო ხელშია... რა სტრატეგიული მნიშვნელობის სამუშაოები განხორციელდა თქვენი დირექტორობისას?**

– ქვეყნის პრეზიდენტის კანცელარიის დავალებით მომზადდა მდინარე დურუჯისაგან ქალაქ ყვარლის მოსახლეობის დაცვის კომპლექსური გეგმა; რუსეთთან ომის დროს ბორჯომის ხეობაში გადამწვარი ტყეების ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო პრევენციულ ღონისძიებათა პროექტიც მოვამზადეთ; თუ გახსოვთ, სოფლების ველისციხისა და მუკუზანის მოსახლეობას დიდი საფრთხე დაემუქრა ჭერმის წყალსაცავის ავარიის შემთხვევაში; მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რისი რეკომენდაციაც ჩვენგან წავიდა. სტიქიის ზონიდან 1500 კაცი გაასახლეს დროებით. საბედნიეროდ, წყლის დონე, აგრეთვე ჩვენი რეკომენდაციის გათვალისწინებით, დაწეულ იქნა და სტიქიურ უბედურებას ავცდით.

...ბატონ გივის, ინსტიტუტთან ერთად, ახალი ოქროს მედლები ვუსურვე ძველი შესანიშნავი ტრადიციების კვალავაც ღირსეული გაგრძელებით...

**თამაზ ებანოიძე.**

**სურათზე: ქ. ჯერმუკში (სომხეთი, 2010 წ. 2 ოქტომბერი) საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას. მარჯვნიდან: პეკინის უნივერსიტეტის თანაპრეზიდენტი, პროფესორი ს. გუშუა (ჩინეთი), პროფ. გ. გავარდაშვილი, ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციების პრეზიდენტი, ქალბატონი მ. გაზალი (საფრანგეთი, პარიზი).**

**P. S. წერილი მზად იყო, როცა დამატებით სასიამოვნო ამბად შევიტყვეთ, რომ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი მეორედ ზედიზედ (2008-2009 წლებში) დასახელდა ქვეყნის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ათეულში.**

**თ. ე.**

ინფორმაცია

# სარეზერვო ფონდებს არამიზნობრივად ხარჯავენ

**„ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრი “ მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდების არამიზნობრივ ხარჯვაზე საუბრობს.**

**ცენტრის ინფორმაციით პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა ისეთ ღონისძიებებზე, რაც სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების კომპეტენციაა. ხშირია ისეთი ხარჯები, როგორიცაა გართობაზე, მიღებებზე, დაჯილდოებებზე და ა.შ. დახარჯული თანხები. ცენტრში განმარტავენ, რომ 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, თითოეული ფონდის მოცულობა გაორმაგდა და შეადგენს 50 მლნ. ლარს. ხოლო რაც შეეხება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს „ეკონომიკურის პრობლემების კვლევის ცენტრში“ განმარტავენ, რომ რეგიონალური განვითარების ფონდიდან ხორციელდება რეგიონალური განვითარების პროგრამები, რაც რიგ შემთხვევებში თვითმმართველობებთან დუბლირებაში მოდის ან ისინი „თამაშგარე მდგომარეობაში“ არიან.**

**ცენტრის განმარტებით, 2011 წელს, თვითმმართველობებიდან 40 მლნ ლარის ამოღებაა დაგეგმილი, რათა შემდგომ ამ ფონდიდან დაფინანსდეს რეგიონალური პროექტები, რაც ხშირ შემთხვევაში თვითმმართველობის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება (წყლის სისტემების რეაბილიტაცია, რეგიონალური გზები, ხიდები და ა.შ.).**

ჯი-ეიჩ-ენი

ფეხბურთი



# 21 რჩეული

დღეს ზღვისპირა ქალაქ კოპერის „ბონიფიკას" 5-ათასკაციან სტადიონზე 23 საათსა და 45 წუთზე დაიწყება სლოვენიისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი.

წლეულს დაუმარცხებლად მოთამაშე „ჯვაროსანთა" თავკაცმა თემურ ქეცბაიამ ბალკანური გამოცდისთვის შემდეგი კონტინგენტი შეარჩია.

**მეკარეები** – ლორია („დინამო"ძ, კვასხვაძე („ზესტაფონი"ძ.

**მცველები** – კალაძე („ჯენოა"ძ, ხიზანიშვილი („რედინგი"), კვირკველია („რუბინი"ძ, ონიანი, ხიდეშელი („ზესტაფონი"ძ, კაკუბავა („დინამო"ძ, ხუბუტია („გაზ-მეთანი"ძ, კაშია („ვიტესი"ძ.

**ნახევარმცველები** – ანანიძე („სპარტაკი"ძ, ხოჯავა („ვოლგა"ძ, კოშკაძე („დინამო"ძ, ალადაშვილი („ზესტაფონი"ძ, კლიმიაშვილი („ვიტ ჯორჯია"ძ, ოქრიაშვილი („შახტარი"ძ, კანკავა („დნიპრო"ძ, გურული („კარპატი"ძ.

**თავდამსხმელები** – ვაწაძე („დინამო"ძ, გელაშვილი („ზესტაფონი"ძ, მოდებაძე („ოლიმპი"ძ.

დავძენთ, რომ ტრავმების გამო განაცხადში ვერ მოხვდნენ მარცვალაძე, ლობჟანიძე და დაუშვილი, ხოლო თავდაპირველად გამოცხადებული გაფართოებული შემადგენლობიდან თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ძაძამია, ელიავა, კვეკვესკირი, რეხვიაშვილი, ჩიკვილაძე, გურეშიძე და ლიპარტია.

რაც შეეხება მათიას კეკის შებირდებს, ისინი უძლიერესი შემადგენლობით ემზადებიან დღევანდელი სპარინგისთვის. გუშინ მათ უკანასკნელი გერმანული „ბოხუმის" თავდამსხმელი ზლატკო დედიჩი შეუერთდა.

სხვათა შორის, წლევანდელი მუნდიალის მონაწილენი კოპერის სარბიელზე მეორე შეხვედრას გამართავენ. ისინი თანამემამულე გულშემატკივართა წინაშე პირველად 2001 წელს წარსდგნენ, როცა 0:2 დამარცხდნენ ურუგვაის გუნდთან.

**გია პლატონიშვილი**



კოპერის „ბონიფიკას" სტადიონი

რაგბი

# ჩინებული შანსი

**20 და 27 ნოემბერს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ახალი შოტლანდიელი მწვრთნელის რიჩ დიქსონის თავკაცობით შინ მნიშვნელოვან ტესტ-მატჩებს გამართავს კანადელთა და ამერიკელთა წინააღმდეგ.**

ახლახან რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRBძ განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც „ბორჯღალოსნებს" მე-17 ადგილი უკავიათ, ჩრდილოამერიკელებთან წარმატების შემთხვევაში კი კიდევ უფრო წინ წაიწევენ და ელიტურ ათეულს მიუახლოვდებიან.



გაეცანით ძალთა შეფარდებით ნუსხაში სადღეისოდ შექმნილ მდგომარეობას: ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ინგლისი, საფრანგეთი, ირლანდია, არგენტინა, შოტლანდია, უელსი, ფიჯი, სამოა, იტალია, იაპონია, კანადა, აშშ, ტონგა, საქართველო, რუსეთი, რუმინეთი, ნამიბია, ურუგვაი, პორტუგალია, ესპანეთი, ჩილე, ბელგია, მაროკო, ყაზახეთი, ბრაზილია, უკრაინა, გერმანია.

**მანუჩარ გიორგაძე**

ფიგურული სრიალი

# დამაიმედებელი სტარტი

**გემახსოვრებათ, რომ იტალიის ქალაქ ტურინში მარტში გამართულ წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ელისონ რიდისა და ოთარ ჯაფარიძის წყვილი სავალდებულო და ორიგინალური პროგრამების შესრულების შემდეგ 21-ე პოზიციაზე აღმოჩნდა და ფინალამდე ერთი ადგილი დააკლდა.**



ბუნებრივია, მათგან წლეულს უკეთეს შედეგს ველით და, როგორც ირკვევა, არცთუ უსაფუძვლოდ. საილუსტრაციოდ ახალი სეზონის სტარტი გამოდგება, რომელმაც გარკვეული ოპტიმიზმი ჩაგვისახა.

ამ დღეებში ავსტრიის ქალაქმა გრაცმა ლეო შეუს 37-ე მემორიალს უმასპინძლა, სადაც მოცეკვავეთა ტურნირში ჩვენმა თანამემამულეებმა ბრიტანელების ვალდენისა და ედვარდსის შემდეგ ვერცხლის მედალი მოიპოვეს. არანაკლებ სასიხარულო ის გახლავთ, რომ „ჯვაროსნებმა" ამ პრესტიჟული ასპარეზობის ორივე საშეჯიბრო დღეს სტაბილურად ისრიალეს და 11 მეტოქესთან ბრძოლაში როგორც მოკლე, ისე თავისუფალ პროგრამაში მეორე ადგილი დაიკავეს.

რაც შეეხება ქართველ ფიგურისტთა აღიარებულ ლიდერს ელენე გედევანიშვილს, მან პორტლენდში დასრულებულ გრან-პრის სერიის მეორე ეტაპზე 12 მონაწილეს შორის მე-7 საფეხური დაიკავა, „სკეიტ ამერიკას" გამარჯვებული კი იაპონელი კანაკო მურაკამი გახდა, რომელმაც იქაურ რეიჩელ ფლეტს და ევროპის მრავალგზის იტალიელ ჩემპიონს კაროლინა კოსტნერს გაუსწრო.

**ვიტალი ჯაფარიძე**

სანქცია

# ადეკვატური სასჯელი

**უკვე გაუწყეთ, რომ ეროვნული ჩემპიონატის XIII ტურის მატჩის „სამტრედია" – „ვიტ ჯორჯია" (1:0ძ მსვლელობისას მსაჯობით უკმაყოფილო მასპინძელთა ქომაგებმა ტრიბუნებზე არეულობა მოაწყვეს, ხოლო მათმა მეორე მწვრთნელმა მამუკა მესიაჩენკომ გვერდით არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.**

აღნიშნული სამარცხვინო ფაქტის შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა იმსჯელა და დამნაშავენი საკადრისადაც დასაჯა.

კერძოდ, იმერული კლუბი 1000 ლარს გადაიხდის და სეზონის ბოლომდე პირობით დისკვალიფიკაციას მოიხდის, მათ ერთ-ერთ დამრიგებელს კი ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია განესაზღვრა, თანაც 500 ლარით მოუწევს ჯიბის შეთხელება.



იმავე სხდომაზე განიხილეს პირველი ლიგის შეხვედრის მარტვილის „მერანი" – „გაგრა" (1:0ძ დროს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევა. მასპინძელთა დაჯარიმება 2500 ლარით და ადგილობრივი სტადიონის პირობითი დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე – ასეთია დისციპლინართა მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ვერდიქტი.

**გიორგი შოთაძე**

დოპინგი

# რუსები დააჯარიმეს

**ბიატლონისტთა საერთაშორისო კავშირმა (IBVძ 50 ათასი ევროთი დააჯარიმა რუსეთის ბიატლონისტთა კავშირი იქაური სპორტსმენების დოპინგ-სინჯებზე 2009-2010 წლების სეზონში მრავალი დადებითი შედეგის გამო.**

როგორც რუსეთის ბიატლონისტთა კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა სერგეი კუშჩენკომ აღიარა, ეს გადაწყვეტილება სავსებით სამართლიანია.

ინტერნეტიდან

## ინგლისელები პრესას გაემიჯნენ

**ფეხბურთში 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის ინგლისის საგანაცხადო კომიტეტი ოფიციალურად გაემიჯნა გამოცემის Sunday Times ჟურნალისტების განცხადებას ფიფას ჩინოვნიკების კორუმპირებულობის შესახებ ჩემპიონატის მასპინძლის არჩევის საქმეში (ამ ფაქტზე ჩვენც მრავალჯერ დავწერეთძ.**

ინლისელებმა შესაბამისი წერილი გადასცეს ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის ყველა წევრს თხოვნით, არ დაუკავშირონ ეს მხილება ჩემპიონატის მიწვევაზე ინგლისის განაცხადს, რასაც ახლა ფიფას ეთიკის კომიტეტი სწავლობს.

2018 და 2022 წლების ჩემპიონატების ჩატარების ადგილი განისაზღვრება ფიფას აღმასკომის სხდომაზე ციურიხში 2 დეკემბერს.

როგორც ინგლისიდან იტყობინებიან, ამ სხდომაზე დასწრებას აპირებს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი, რათა ფიფას წევრები მიიმხროს ინგლისის განაცხადის სასარგებლოდ.

## გებრესელასიემ გადაიფიქრა




**როგორც ამას წინათ ვწერდით („სრ" – 10.11.2010ძ, ნიუ-იორკის ტრადიციული მარათონის 26-ე კილომეტრზე მუხლის მწვავე ატკივების შემდეგ დიდი სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა და ამაზე ოფიციალურად განაცხადა სახელოვანმა ეთიოპიელმა სპორტსმენმა, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 4-გზის მსოფლიო ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა ჰაილე გებრესელასიემ.**

მაგრამ, როგორც გუშინ ნიუ-იორკიდან მიღებული ინფორმაცია იტყობინება, ცნობილმა სტაიერმა გადაიფიქრა კარიერის შეწყვეტა, ეს მან საკუთარ ინტერნეტ-საიტზე განაცხადა, როგორც კი მუხლი ცოტა მოირჩინა. „სირბილი მე სისხლში მაქვს, – დაწერა გებრესელასიემ, – ამიტომაც გადავწყვიტე კარიერის გაგრძელება. როგორც კი მუხლს მოვირჩე, დავიწყებ მზადებას მორიგი სტარტისთვის".

ვფიქრობთ, მარათონის მოყვარულთათვის და გებრესელასიეს თაყვანისმცემლებისთვის ეს ცნობა სასიხარულო იქნება!

## თავის მამაკაცებს დაუბრუნდა

**რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ იტალიაში დაბრუნდა არგენტინელი ლამაზმანი ბელენ როდრიგესი. მოდელი, მსახიობი და უბრალოდ, ლამაზი ქალი რომში ჩავიდა, სადაც სულ მალე გაიმართება მისი მონაწილეობით შექმნილი ფილმის Se sei cosi, ti dico si პრემიერა. თუკი იტალიელებს მისი თამაში მოეწონებათ, მაშინ სინიორიტა როდრიგესი გადაწყვეტს თავის საკინემატოგრაფო მომავალს.**



იტალიაში დაბრუნებისთანავე ბელენი აღმოჩნდა ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე და ჭორიკანათა სამიზნეზე „რომას" თავდამსხმელ მარკო ბორიელოსა და ცნობილ პაპარაც ფაბრიციო კორონასნორთან,. თანაც მან დედაქალაქში ჩასვლისთანავე მალაზიებს მიაშურა ამ უკანასკნელთან ერთად. თვითმხილველთა განცხადებით ისინი ერთმანეთს კოცნიდნენ.

არ შეიძლება, დავივიწყოთ, რომ რომში თამაშობს ბორიელოც და გამორიცხული არ არის მათი შეხვედრაც. ასე რომ, იტალიას მოელის ახალი დიდი ამბები შეხვედრებსა და განშორებებზე.

რწმენა

# რელიკვია თუ ჩვარი?

## ტურინის გარდამოხსნას არაფრით არ უნდა, გაგვიმჟღავნოს თავისი საიდუმლოებანი

**ამ დღეებში იტალიელებმა განაცხადეს: გარდამოხსნა, რომელსაც 500 წელზე მეტია თაყვანს სცემენ მორწმუნეები, — სიყალბეაო!**

**პროფესორმა ლუიჯი გარლასკელიმ განაცხადა, რომ მისმა ლაბორატორიამ შეძლო შეექმნა რელიკვიის ხელთქმნილი ასლი. და რახან ასეა, ტურინის ტაძარში დაცული არტეფაქტი არის შუა საუკუნეების სიყალბე. ერთი დეტალი: ფული სამუშაოსთვის მეცნიერებმა მიიღეს იტალიის ათეისტებისა და აგნოსტიკოსების ასოციაციისგან.**

### რაინდის საიდუმლო

**რელიკვიის შეძენის ისტორია მართლაც საეჭვოდ ჟღერს. XIV საუკუნის შუა პერიოდში ფრანგმა რაინდმა ჟოფრუა დე შარნიმ ფართო საზოგადოებას წარუდგინა ქსოვილის უცნაური ნაჭერი, რომელიც, როგორც ის ამტკიცებდა, არის სახარებაში აღწერილი ქრისტეს დაკრძალვის ტილო. იმის შესახებ კი, თუ როგორ აღმოჩნდა იგი მასთან, დუმდა. ასე წაიღო მან საფლავში გარდამოხსნის შეძენის საიდუმლო, რამაც წარმოქმნა დღემდე ბოლომდე ამოუხსნელი ეჭვი მისი სინამდვილის შესახებ.** 1898 წლის 25 მაისს გარდამოხსნას ფოტო გადაუღო ფრანგმა სეკუნდო პიამ. სწორედ მაშინ მიღებულ ნეგატივზე, თავდაპირველად თვალებს რომ არ უჯერებდა, მან დაინახა ადამიანის სხეულის მკაფიო გამოსახულება. ამ სურათმა წარმოქმნა ქსოვილის ნაჭერთან დაკავშირებული სამეცნიერო ბუმი.

რეალურად იმ დროიდან 100-ზე მეტი წლის შემდეგ მეცნიერების ხელში დაფერფლილი ქსოვილი მოხვდა მხოლოდ ერთხელ და სულ რაღაც 120 საათით. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემიისა და კოლორადო სპინგსის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ ჯეკსონი აღმოჩნდა ერთადერთი, რომელმაც 1978 წელს დაარწმუნა ეკლესიის წარმომადგენლები, გადაეცათ შესასწავლად ნაზი სალოცავი. ის იხსენებდა: „ჩვენ დაახლოებით ოცდაათი კაცი ვიყავით და ხუთი დღე-ღამის განმავლობაში დღეში 24 საათი შეუჩერებლივ ვსწავლობდით ტილოს“. შედეგად მეცნიერებმა აღიარეს: ანაბეჭდი — არის არა მხატვრის ნახატი, არამედ დეგიდრატაციის, ესე იგი ქსოვილის მომწვრობის შედეგი. მეორეც: სისხლი არის ნამდვილი, ადამიანისა, და ის იქ მოხვდა მანამ, სანამ მასზე გაჩნდებოდა გამოსახულება. შემდგომმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ქსოვილი არის ბამბისა, რომელიც მოჰყავდათ იუდეაში იმ წლებში, როდესაც იქ ქრისტე ცხოვრობდა. ქსოვის ტიპს აღარ იყენებდნენ ახალი ერის 276 წლის შემდეგ. ნიადაგის ნაწილაკები, რომლებიც ქსოვილზე აღმოაჩინეს, საშუალებას იძლევა მოვახდინოთ მისი წარმომავლობის ლოკალიზება იერუსალიმის რაიონით. 1988 წელს მსოფლიოს სამმა წამყვანმა რადიონახშირბადის ანალიზის ლაბორატორიამ, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, გააკეთა გარდამოხსნის ქსოვილის ნაჭრების ანალიზი და ის დაათარიღეს... XIV საუკუნით — იმ დროით, როდესაც იგი შეიძინა მდუმარე რაინდმა. ეს ექსპერიმენტი სერიოზული დარტყმა აღმოჩნდა გარდამოხსნის ნდობისთვის.



2010 წლის გაზაფხულზე გარდამოხსნას უჩვენებდნენ საზოგადოებას. შემდეგ ასეთ რამეს უნდა ველოდოთ 25 წელი.

### ერთი სისხლი

**დღეს ტურინის გარდამოხსნის შესწავლის საერთაშორისო ცენტრში იმედით ელოდებიან ვატიკანისგან ნებართვას ახალ გამოკვლევაზე. მათი არგუმენტები ასეთია: გარდამოხსნამ მრავალგზის განიცადა გარეგნული ზემოქმედება: შეიტრუსა ხანძრის დროს, მოითუთქა ზეთში, დიდი ხნით იყო ვერცხლის ნივთში.** ყოველივე ამას შეეძლო გამოეწვია მისი „ნახშირბადული გაახალგაზრდავების“ ეფექტი. ანდა ქსოვილის ზოლი ანალიზისთვის ამოჭრეს ეგრეთ წოდებული გვერდითი ზოლიდან, და არა გარდამოხსნის იმ ნაწილიდან, რომელზეც წარმოჩინდა მხსნელის სხეული. არ არის გამორიცხული, რომ ეს გვერდითი ზოლი მიეკერებინათ გარდამოხსნის ძირითად ნაწილზე სახარებისდროინდელი მოვლენების შემდეგ. ორივე ვერსია გულის დამამძიმებელი რადიონახშირბადული გამოკვლევის უმალვე გამოითქვა იმ მეცნიერების მიერ, რომლებიც საბჭოთა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტისთვის მუშაობდნენ. არტეფაქტის სინამდვილის დადასტურებანი სულ უფრო და უფრო მრავლდება. როდესაც სამეცნიერო-დოკუმენტურ ფილმზე — „შეიძლება თუ არა ქრისტეს კლონირება?“ — მუშაობდა, რეჟისორმა ივ ბუასემ მიიღო ნებართვა, შეედარებინა ერთმანეთისთვის სისხლის ლაქები, რომლებიც შემორჩენილი იყო გარდამოხსნაზე, ტუნიკაზე (იგი ინახება საფრანგეთის არჟანტიოში და ის, თითქოს, ეცვა ქრისტეს გოლგოთის მთაზე ჯვრით მიმავალსძ და თავსაფარზე ესპანური ოვიედოდან, რომელიც ეფარა კუბოში ჩასვენების დროს. ივ ბუასე ამბობს: „აღმოჩნდა, რომ სამივე შემთხვევაში სისხლი განეკუთვნება IV (ABძ ჯგუფს. ეს ჯგუფი იმდენად იშვიათია, რომ ახლაც კი დედამიწაზე 6 მილიარდი მოსახლეობიდან ის შეიძლება ჰქონდეს 1,5 მილიონზე ნაკლებ ადამიანს“.



გამოსახულება სწორად გადმოგვცემს ადამიანის სხეულის ანატომიის თავისებურებას, რასაც ვერასოდეს აღწევენ მხატვრის ხელით შექმნილ ნახატებში.

სანამ მეცნიერები დავობენ ხმის ჩახლეჩამდე, მორწმუნენი გულის ფანცქალით ელოდებიან რელიკვიის დემონსტრაციას. სავარაუდოდ ეს მოხდება არაუადრეს 2035 წლისა.

**იულია ტუტინა**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

### ეკლესიის კომენტარი

**„მათ, ვისაც ჭეშმარიტად სწამთ იესო ქრისტე, ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ, არის თუ არა გარდამოხსნა ნამდვილი არტეფაქტი, — ამბობს დიაკვანი იოანე სმირნოვი. — წარუშლელი შთაბეჭდილება, რასაც წმინდა გარდამოხსნა და მისი ასლებიც კი, რომელთაგანაც ერთი, სხვათა შორის, ინახება მოსკოვში, სრეტენკის მონასტერში, ტოვებს მორწმუნე კაცის გულში, — მისი სინამდვილის საუკეთესო დადასტურებაა“.**

---

გოდერძი ჩოხელის მონატრება

# ნოემბრის იები

„მინდა ამ დარდიან და სევდიან ქვეყანას გამათბობელი ლექსები და მოთხრობები დავუწერო“... აღსარებად დაგვიტოვა გოდერძი ჩოხელმა... და ახლა, მისი არყოფნიდან სამი წლის შემდეგ, ეს ლექსები და მოთხრობები ჩვენს გულში სანთელივით ანთია!

„მე სანთელს ვგავარ, შენს
ბეჭებზე ორი ფერის ტაბლაზე
ვიწვი: დღისით და ღამით.
უფლის განგებით სავსე არის
ორივე ტაბლა:
ღამე სიზმრებით ხოლო
დღისით სახიერი ცხადი
ხილვებით.
ჩამოდგა ჩემი დღის ტაბლაზე
ჩაქრობის ჟამი.
ღამის ტაბლაზე მოსალხენად
მიდის უფალი.
მე ვიღვენთები და შემოქმედს
წყვდიადს ვუნათებ, რომ დღის
ტაბლიდან სახიერი
სიზმარეულში გადაიტანოს“...

ცანათელი იყო და წყვდიადს გვინათებდა... „კაცნო, ნუ სჩადით ცოდვასა“, — გვაფრთხილებდა და ამაოებით შეძრულს მზე ეყინებოდა სულში... არარაობის ციხე ვარ, აქ ყოფნის ლიბო მერღვევაო...

„უნდა ვატარო გულით
ჩემი სამშობლოს სევდა,
დავდივარ ქვეყანაზე
როგორც შვილმკვდარი დედა“...

„გულჩაკლული ერი“ ტკივილსა და სიმწუხარეს მოეცვა, ამ დროს ჩამქრალ მთვარეს ემსგავსებოდა... მაგრამ გაზაფხულზე იასთან ერთად იბადებოდა და ნატვრა ლაღობდა ცაში:

„მე მინდა ჰქონდეს დედამიწას
ლურჯი თვალები!
მე მინდა ჰქონდეს ბედნიერი
წუთების განცდა!“

ამიტომ იყო, რომ მისი გარდაცვალების დღე ლურჯთვალა იას ჰგავდა, კუბო იებით იყო სავსე და ნოემბრის იები რაღაც იდუმალი ლოცვით ათბობდა სულს...

„ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
ხომ შემისრულებ სათხოვარს,
ხომ ჩაიბარებ ჩემს ძვალ-რბილს
როგორც პატარა სახსოვარს“.

და ჩაიბარა სამშობლომ მისი გულის ფეთქვა! სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში სანთლად ანთია გოდერძის ლამაზი სული... სამწლიანი მონატრების შემდეგ გუშინ ამ ტაძარში ზარები დაირეკა და გოდერძის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღევლინა. გუდამაყარში რომ ვარ, მაღალი მთებიდან უამრავი ვარსკვლავის წვრილ ზარებივით რეკვა მესმისო... — ამბობდა გოდერძი.




და გუშინაც, ასე მეგონა, ნოემბრის მცხეთაში, გოდერძის საფლავთან ვარსკვლავების ზარები რეკავდნენ!

**თამარ შაიშმელაშვილი**

---

გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებას გამოხატავს
ნორა წითლიძე-რუხაძის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს შვილს, მამაო ტარიელს, მის ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებას გამოხატავს
ნოდარ გრიგოლიას
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს შვილს ზურაბ გრიგოლიას, მის ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებას გამოხატავს და თანაუგრძნობს თემურ გაბელიას დედის
მიმოზა ლაბარტყავა-გაბელიას
გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჟურნალ „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მთავარი რედაქტორის მოადგილე
გიგლა გოგეჩია
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

### განცხადება

„საზოგადოება ცოდნამ“ გამოსცა პოეტ ვახტანგ გოგიჩაიშვილის ლექსების და წერილების კრებული „რა მოვიპოვე“.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

## რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.

გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე" ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა".




ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის" ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე" – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე" – 93-38-75; „პრესექსპრესი" – 96-23-11; „ელვასერვისი" – 38-80-02; „ჯეომედია" – 95-51-70; „საქპრესა" – 51-59-05; „საქპრესა+" 51-57-43; „ინფო"-2007 – 34-11-40; „პრეს+" 14-23-97.


## ◉ დაიჯესტი

### განმსაზღვრელია ადამიანური ფაქტორი

**წლეულს ზაფხულში რუსეთის ტყეების ლამის ნახევარი ხანძრებში იყო გახვეული, სტიქიამ არც ჩვენ დაგვინდო. სამწუხარო სტატისტიკა მოწმობს, რომ ხანძრების რიცხვი მთელ მსოფლიოში წლიდან წლამდე მატულობს, ამდენად საჭიროა მათთან ბრძოლის ახალი მეთოდების შემუშავება.**

ცეცხლთან ბრძოლის თანამედროვე ტექნიკა რუსეთში საროვის ბირთვული ცენტრის მისადგომებთან გამოიყენეს. რობოტები „ნაძვი-4" და „ნაძვი-10" – დისტანციურად მართვადი მანქანებია, რომლებიც ვითარებას ზვერავენ, ცეცხლს აქრობენ და ხერგილებს ასუფთავებენ, დანარჩენი მათი ფუნქციები კი ჯერ მხოლოდ ლაბორატორიული დამუშავებების სტადიაშია.

– ბოლო წლებში ცეცხლთან



ბრძოლის მეცნიერებამ მნიშვნელოვნად წაიწია წინ იმ მიმართულებით, რაც დახურულ ნაგებობებს ეხება, აქ ცეცხლს გაზით ებრძვიან (რომელიც შთანთქავს ჟანგბადსძ, ასევე იყენებენ ანალოგიურად მოქმედ ფხვნილს, – აცხადებს ცეცხლთან ბრძოლის ექსპერტი ანატოლი ზიკოვი. – თუმცა ღია სივრცეში – ტყეებსა და მინდვრებში – ეს მეთოდიკა არ მუშაობს. ამდენად, მეხანძრეებს ხელთ ისევ ძველი მეთოდები – წყალი, ხანძარსაწინააღმდეგო თხრილები და ძაფის ზღუდე რჩებათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხანძრის ჩაქრობისას 80 პროცენტით განმსაზღვრელია არა ტექნიკური შრომა, არამედ ადამიანური ფაქტორი.

## ◉ დღის კალენდარი

## 17 ნოემბერი

**წმიდათა და მართალთა იოანე, სტეფანე და ესაია ქართველთა, საკრძალთა თაყვანისცემა. ხსენება ღირსი იოანიკე დიდისა (846ძ; მღვდელმოწამე ნიკანდრესი – მირელი ეპ., და ერმი ხუცისა.**



ამოდის 06.52
ჩადის 16.39



ამოდის 14.04
ჩადის 02.27

### დაიბადნენ:

**ჩვ. წ. აღ. 9 – ტიტუს ფლავიუს ვესპასიანე,** რომის იმპერატორი. გარდაიცვალა 79 წელს.

**1755 – ლუი XVIII,** საფრანგეთის მეფე. გარდაიცვალა 1824 წელს.

**1891 – გალაკტიონ ტაბიძე,** მეოცე საუკუნის უდიდესი პოეტი. გარდაიცვალა 1959 წელს.

**1926 – კოტე მახარაძე,** მსახიობი, გარდაიცვალა 2003 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1497 – ჯიოვანი მირანდოლა დელა პიკო,** იტალიელი ფილოსოფოსი.

**1558 – მარია I ტიუდორი,** ინგლისის დედოფალი.

**1917 – ოგიუსტ როდენი,** ფრანგი მოქანდაკე, გრაფიკოსი.

### მოვლენები:

**1558** – ინგლისის კათოლიკე დედოფლის მარია ტიუდორის დასჯის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი პროტესტანტი და – ელიზაბეტ I, მეფე ჰენრიხ VIII-სა და ანა ბოლეინის ქალიშვილი.

**1913** – პანამის არხში პირველი გემი გავიდა.

**1966** – დაფიქსირდა ყველაზე დიდი მეტეორული წვიმა.

**1989** – პოლიციამ პრაღაში მშვიდობიანი დემონსტრაცია დაშალა. დაიწყო „ხავერდოვანი გადატრიალება".

**ღირსსახსოვარი დღეები**

**სტუდენტთა საერთაშორისო დღე.**

**ზაირი** – არმიის დღე.

**აზერბაიჯანი** – ეროვნული ალორძინების დღე.

მელიანიუსი


## შევიძენ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს. 855-42-05-82.

## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.


## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7608 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4167 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8298 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.7828 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +6 – +13 |
| ქუთაისი. | +7 – +18 |
| ბათუმი. | +4 – +15 |
| ზუგდიდი. | +5 – +20 |
| თელავი. | +5 – +15 |


რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში" 99-62-77; 899 32-85-76.


## ◉ კადრი



## ◉ ანეკდოტები

პატარა მიხო თავის მასწავლებელს ამუნათებს:

– მასწ, ძალიან ხშირად მეც კი ვარ თქვენით უკმაყოფილო, მაგრამ ამის გამო სისტემატურად კი არ ვურეკავ თქვენს მშობლებს!..

* * *

წერილი, რომელზეც დაწებებული იყო მარკა წარწერით „უთანაგრძნობოდ არ არსებობს სამართლიანობა. უსამართლიანობოდ არ არსებობს სამყარო. უსამყაროდ არ არსებობს მომავალი", დაუბრუნდა გამგზავნს წარწერით „უმისამართოდ არ არსებობს მიტანა".



* * *

საშუალო ასაკის მამაკაცებს კრიზისი მაშინ აქვთ, როდესაც საყვარელი არაფრით განსხვავდება ცოლისგან...

* * *

იპოთეკა ციხე არ არის, ამნისტიის იმედი რომ გქონდეს.

* * *

თუ ფეხბურთელი, რომელიც კარიერის დამთავრების შემდეგ კედელზე ბუცებს ჩამოკიდებს ხოლმე, ასეთ შემთხვევაში რა უნდა ჩამოკიდოს ლურსმანზე პორნომსახიობმა მამაკაცმა?


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.